# ალია

№12 /2942/ 28 იანვარი 2014 წ | ფასი 1 ლ

ორშაბათი — ქრონიკა | **სამშაბათი — ალია** | ოთხშაბათი — ალია | ხუთშაბათი — ალია | პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE


## 2014 წელს მცირემიწიან ფერმერებს გაუმართლებთ

**ფერმერებისთვის გამოყოფილი 90 მილიონი და კარსმომდგარი გაზაფხული**



## რატომ ატარებინებს მთავრობა ტექდათვალიერებას უცხოურ კომპანიას?



## ვინ ცდილობს პრემიერის მედიასთან დაპირისპირებას?



## რისთვის დასჭირდა სუბარს რეზინის ტყვიები და წიწაკის გაზი?



## თბილისის საკრებულო იშლება?



## ექსკლუზივი

## რა სკანდალი მწიფდება ღარიბაშვილის გარშემო?

### იცის ღარიბაშვილმა, თანაშემწედ ვინ „შეუგზავნეს“?



დაუჯერებელი რეალობა, თუ „ოცნების“ რეკვიემი?! რატომ ანაცვლებენ „მეორადი მიშარასტებით“ სააკაშვილის რეჟიმთან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლებს? რატომ ხდება „ნაციონალების“ სამჭედლოში გამოჭედილი ბარტყების აღზევება? ძალიან მალე, რა ახალი რეალობის წინაშე დადგება ქართველი ხალხი?

*ვრცლად გვ.9*

## ექსკლუზივი

## რას ჰყვება ბადაშვილზე ექს-პროკურორი ნოზაძე?

„ხალხი ფინანსური პოლიციის უკანონო საქმეების გამოძიებას ელოდება, ესაა მათთვის სამართლიანობის აღდგენა, იმედი აქვთ, რომ უკანონოდ წართმეულ ქონებას დაიბრუნებენ. ბადაშვილი კი ზუსტად იმ განყოფილებაში მუშაობდა, რომელშიც ეს წართმევები ხდებოდა.“

*ვრცლად გვ.12*





## ექსკლუზივი

## რა აუკრძალეს ამერიკელებმა სააკაშვილს?





ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გრიპის გამო, ივანიშვილმა მედიასთან შეხვედრა გადადო



არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან, რომელიც 28 იანვარს იყო დაგეგმილი, რამდენიმე დღით გადაიდო. ორგანიზაციის პრესსამსახურის ცნობით, გადადების მიზეზი გახდა გრიპის ვირუსი.

პრესკონფერენცია ბიძინა ივანიშვილის გამოჯანმრთელებისთანავე გაიმართება. პრესკონფერენციის ზუსტი დრო და ადგილი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

ჟურნალისტების აკრედიტაციის ვადა გაგრძელდა 28 იანვრის 22.00 საათამდე. ამ დრომდე აკრედიტებულ ჟურნალისტებს რეგისტრაციის ხელახლა გავლა არ მოეთხოვებათ. (ინტერპრესნიუსი)

## დაცვის სპეცსამსახურის უფროსად მღებრიშვილი ინიშნება

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ანზორ ჩუბინიძეს, სავარაუდოდ, გიორგი მღებრიშვილი შეცვლის. ის აღნიშნული უწყების ყოფილი და შსსის მოქმედი თანამშრომელია. გიორგი მღებრიშვილი სტრატეგიული ობიექტების დაცვის სამსახურში მუშაობს.

ანზორ ჩუბინიძე თანამდებობას თვის ბოლოს, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვებს. (ინტერპრესნიუსი)

## 31 იანვარს თბილისში მოთოვს?



გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის განცხადებით, საქართველოში არამდგრადი ამინდი თვის ბოლომდე შენარჩუნდება.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, 30 იანვრიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, უმეტესად თოვლის სახით, დასავლეთში კი – წვიმა. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში 28-29 იანვარს +10 +15 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთ საქართველოში +6 +11.

რაც შეეხება დედაქალაქს, სინოპტიკოსების ინფორმაციით, 29 იანვარს, თბილისში ტემპერატურა +11 გრადუსი იქნება, 30 იანვარს თოვლჭყაპია მოსალოდნელი, დღის მაქსიმალური ტემპერატურა +4 გრადუსს შეადგენს. 31 იანვარს კი სინოპტიკოსები დედაქალაქში თოვლის მოსვლას პროგნოზირებენ. (ინტერპრესნიუსი)

## პატიმართა პირობები უმჯობესდება

მსჯავრდადებულთა საცხოვრებელი ფართი გაიზრდება. ასევე, იზრდება პაემნების რაოდენობა და ფართოვდება იმ პირთა წრეც, რომელთანაც პატიმრებს შეხვედრის უფლება აქვთ.

ამ ყველაფერს „პატიმრობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც სოზარ სუბარის უწყებამ განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა.

პატიმართა საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით სადღეისოდ მოქმედი კანონი ითვალისწინებს, რომ ერთ მსჯავრდადებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2 კვ. მეტრზე ნაკლები, დახურული ტიპის დაწესებულებაში – 2,5 კვ. მეტრზე, ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში – 3 კვ. მეტრზე, არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში – 3,5 კვ. მეტრზე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში – 3 კვ. მეტრზე ნაკლები. ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2,5 კვ. მეტრზე ნაკლები.

ცვლილებების თანახმად, ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ერთ მსჯავრდადებულზე საცხოვრებელი ფართის ნორმა არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე, ხოლო ბრალდებულზე – 3 კვ. მეტრზე ნაკლები.

ფართოვდება იმ პირთა წრეც, რომლებთანაც პატიმრებს ხანმოკლე პაემნის საშუალება მიეცემათ. კანონით განსაზღვრულ პირებს ემატება პირი, ვისთანაც პატიმარს საერთო შვილი ჰყავს, ასევე დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობლები და გერი. გარდა ამისა, ბრალდებულებსა და მსჯავრდადებულებს შესაძლებლობა ექნებათ, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ხანმოკლე პაემანი ისეთ პირებთანაც ჰქონდეთ, რომლებიც კანონის შესაბამის ჩამონათვალში არ შედიან. იზრდება იმ პირთა წრეც, ვისთანაც მსჯავრდადებულებს შეიძლება – ხანგრძლივი პაემანი, ხოლო ქალ პატიმრებს საოჯახო პაემანი ჰქონდეთ. იზრდება ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ხანგრძლივი პაემნების, მათ შორის ე.წ. წამახალისებელი პაემნების რაოდენობა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ ცდილობს პრემიერის მედიასთან დაპირისპირებას?



**ვინ უფუჭებს მედიასთან ურთიერთობას ირაკლი ღარიბაშვილს? ვინ საუბრობდა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ ღარიბაშვილის სახელით? რატომ გადაწყვიტა პრემიერმა საკადრო წმენდის განხორციელება მისავე პრესსამსახურში და ვინ შეეწირება ამ პროცესს?**

პრემიერი 27 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელს მამუკა ღლონტს გამოეხმაურა. ღარიბაშვილი დაინტერესდა, ვინ განუცხადა მისი სახელით ტელეკომპანია „მაესტროს“, თითქოს ის მხოლოდ რეიტინგულ არხებს სტუმრობს. მანვე მთავრობის კანცელარიის უფროსსა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დაავალა, შეისწავლონ ეს საკითხი და მოახდინონ რეაგირება.

**„ალია“ მამუკა ღლონტს დაუკავშირდა:**

**— უშუალოდ თქვენთან საუბრისას განაცხადა პრემიერის პრესსამსახურის თანამშრომელმა, რომ ღარიბაშვილი მხოლოდ რეიტინგულ არხებთან აპირებს თანამშრომლობას და ექსკლუზიური ინტერვიუების მიცემას?**

– ჩვენს პროდიუსერებს ეუბნებოდნენ ამას. ეს მხოლოდ ღარიბაშვილის პრესსამსახურს არ ეხება, იგივე გააკეთა იმავე პერიოდში პრეზიდენტის პრესსამსახურმაც.

**— რიგითი თანამშრომლების დონეზე ხდებოდა ეს, თუ რომელიმე ხელმძღვანელი ადგენდა, რომელ ტელევიზიას მისცემდა ინტერვიუს პრემიერ-მინისტრი?**

– ვერ დაგისახელებთ ვერც სახელსა და გვარს და ვერც თანამდებობას, რადგან არ იქნება ეს კორექტული. მთავარი არ არის, ვინ რა თქვა, მთავარი ის არის, რომ წელიწადი და ორი თვეა, ბატონი ღარიბაშვილი ვერ „შემოვიტყუეთ“ „მაესტროს“ ეთერში, როდესაც ის სხვა ტელევიზიებში დადის.

**— პრემიერის განცხადებიდან დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ერთჯერადი ფაქტი იყო, თქვენ კი ამბობთ, რომ პრესსამსახურის თანამშრომელთა საქციელი სისტემატურ ხასიათს ატარებდა.**

– წელიწადი და ორი თვე სისტემატურად გვქონდა კონტაქტი და სურვილი, რომ მოსულიყო ირაკლი ღარიბაშვილი „მაესტროს“ ეთერში, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში მათი არგუმენტი და უარის თქმის მიზეზი იყო ის, რაც გააჟღერა პრემიერმა, ასე მეუბნებიან „მაესტროს“ პროდიუსერები.

შესაძლოა, რიგითი მკითხველისთვის უცნობი იყოს, თუმცა ჟურნალისტურ წრეებში ცნობილია, რომ როდესაც რომელიმე ტელეგადაცემის პროდიუსერი მაღალი თანამდებობის პირთან (ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრთან) გეგმავს ინტერვიუს ჩაწერას, ამაზე მოლაპარაკებას აწარმოებს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან, რადგან სწორედ მისი პრეროგატივაა, შეათანხმოს საჯარო მოხელის მედიასაშუალებებთან ურთიერთობის განრიგი.

**როგორც მთავრობის კანცელარიის უფროსი, მაია ცქიტიშვილი „ალიასთან“ ამბობს, ჯერ ის არის დასადგენი, შეესაბამება თუ არა ის ფაქტი სინამდვილეს, რომ პრემიერის პრესსამსახურიდან ვინმე ეუბნებოდა „მაესტროს“ პროდიუსერებს, თითქოს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს მხოლოდ რეიტინგულ არხებთან სურდა ურთიერთობა.**

**— ეს მამუკა ღლონტმა ჩვენც დაგვიდასტურა. პრემიერ-მინისტრმა თქვენ დაგავალათ ამ ფაქტის გადამოწმება და გარკვევა. დაიწყეთ მოკვლევა?**

– ჯერ არ დამიწყია მოკვლევა, ამიტომ არ ვარ მზად, რომ ამ თემაზე კომენტარი გავაკეთო. ბუნებრივია, დავიწყებთ ამ საკითხის გარკვევას.

**— რა სანქცია დაეკისრებათ იმ თანამშრომლებს, რომლებიც არათანაბარ პირობებში აყენებდნენ მედიასაშუალებებს?**

– თუკი მსგავსი ფაქტი დადასტურდება, ჯერ პრემიერ-მინისტრს მოვახსენებთ და შემდეგ უკვე მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა სანქციები გატარდება ამ თანამშრომლებთან მიმართებაში.

პრემიერის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში საქმე რომ ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს, ამას ბევრი ფაქტი მოწმობს. ჟურნალისტები პირად საუბრებში მუდმივად გამოთქვამენ საყვედურს, რომ პრემიერის კომენტარს ან ინტერვიუს მხოლოდ ის მედიასაშუალება იღებს, რომელსაც პრესსამსახურის თანამშრომლები გაუწევენ ლობირებას. „ალია“ წერდა იმის შესახებაც, რომ მედიასაშუალებების შერჩევას აქვს ადგილი პრემიერის (ყოფილის და ამჟამინდელისაც) ღია პრესკონფერენციების დროს. როგორც „ალიამ“ გაარკვია, ღარიბაშვილის 27 იანვარს გაკეთებულ განცხადებას შეეწირება სახელმწიფო კანცელარიის პრესსამსახურის უფროსი ნონა ყანდიაშვილი.

„ალიას“ ინფორმაციით, პრემიერის პიარ და პრესსამსახურში საკადრო ცვლილებები იგეგმება, ვინაიდან ღარიბაშვილი არ არის ამ სამსახურის მუშაობით კმაყოფილი. „ალიასთვის“ ისიც გახდა ცნობილი, რომ ღარიბაშვილს ჰყავს ჯგუფი, რომელიც მისივე აპარატის თანამშრომლების ქმედებებს უწევს მონიტორინგს და პრემიერი ყველაფრის საქმის კურსშია. არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში კიდევ უფრო მეტი კულუარული ინფორმაცია გახდეს ცნობილი. მაგალითად, ის, როგორ ლობირებენ პრემიერის კარზე რიგ მედიასაშუალებებს და როგორ „ბლოკავენ“ თუნდაც „ქართული ოცნების“ მისამართით კრიტიკულად განწყობილ მედიასაშუალებებს. საბოლოოდ კი ყველა ეს ქმედება პრემიერ-მინისტრის, როგორც ქვეყანაში თავისუფალი მედიის არსებობის ერთ-ერთი გარანტორის, იმიჯს ლახავს. უცნობია, ღარიბაშვილის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები ამას განზრახ აკეთებენ, თუ არაკვალიფიციურობის გამო მოსდით. როგორც ჩანს, ღარიბაშვილი არ აპირებს, საზოგადოებაში არსებული მისი მაღალი რეიტინგი აპარატის რომელიმე თანამშრომელს (თანამშრომელთა ჯგუფს) შეალახვინოს.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კოდეინზე, ეფედრინზე, ფსევდოეფედრინსა და ნორეფედრინზე კონტროლი მკაცრდება



შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი საშუალებების ლეგალურ ბრუნვაზე – კონტროლს, ხოლო მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობას ამკაცრებენ.

საუბარია იმ ფსიქოტროპულ და ფსიქოაქტიურ მედიკამენტებზე, რომელთა გამოყენებით ნარკოტიკული საშუალებების კუსტარულად დამზადება ხდება შესაძლებელი.

აღნიშნული ნივთიერების რეცეპტის გარეშე გაცემა აფთიაქისთვის – როგორც იურიდიული, ასევე მის უკან მდგომი ფიზიკური პირისთვის, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. (ინტერპრესნიუსი)

## მეგის ქარდავას 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა



ძებნაში მყოფ მეგის ქარდავას, რომელიც სერგო თეთრაძის წამების ეპიზოდში გამართლდა, საქმის კიდევ ერთ ეპიზოდზე 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თეთრაძის საქმეში რამდენიმე ეპიზოდია, მათ შორის თეთრაძის წამების, ასევე ჩიკვატიასა და ლონდარიძის წამების ეპიზოდები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სწორედ ჩიკვატიასა და ლონდარიძის ეპიზოდებზე გამტყუნდა ქარდავა და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, ჯაშუშობის ბრალდებით, 2011 წლის 19 სექტემბერს დააკავეს, 25 სექტემბერს ის გლდანის ციხეში გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

## დაბურულ მინებზე გარკვეული აკრძალვა დაწესდება



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირთა ავტომანქანებზე დამუქებული მინებისა და ციმციმების დაშვებასთან დაკავშირებით რეგულაციების გამკაცრება დაევალა. მთავრობის კანცელარიის უფროსის მაია ცქიტიშვილის თქმით, შსს-ს ექნება ვალდებულება, გადახედოს უკვე გაცემულ ნებართვებს და მოაწესრიგოს ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც ამ ნებართვების მინიჭება ხდება.

შს მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ საკითხს პირადად გააკონტროლებს. „დაბურულ მინებზე გარკვეული აკრძალვა დაწესდება და ამ მიმართულებით რეგულაცია გამკაცრდება, ისე როგორც „ციმციმებთან“ მიმართებაში. ამას პირადად გავაკონტროლებ“, – განაცხადა ჭიკაიძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# თბილისის საკრებულო იშლება?

მოკლედ, საკრებულო აირია, დაირია... რა გახდა ეს დედაქალაქის ბიუჯეტი, ველარ გაგვიგია. 27 იანვარს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჯაბა სამუშიამ მერის მოვალეობის შემსრულებელს, სევდია უგრეხელიძესა და მერიის საფინანსო განყოფილებას მოუწოდა, შეწყვიტონ საბოტაჟი და საკრებულოში ერთად მუხლობრივად განიხილონ მომავალი ბიუჯეტი. ეს განცხადება სამუშიამ მას შემდეგ გააკეთა, რაც უგრეხელიძემ განაცხადა, საკრებულოში ქუდი რომც შემიგდოთ, მაინც არ შევალ, რადგანაც შიხიაშვილს წინასწარ მაინც გადაწყვეტილი აქვს პროექტის ჩაგდებაო. სამუშია, თავის მხრივ, აცხადებს, მერის ქცევიდან გამომდინარე, მერია არ არის მზად, იმსჯელოს ბიუჯეტზეო.

თქვენი არ ვიცი, და მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა ქალაქის ბიუჯეტის მიღება, რადგანაც ეს გაწამაწია თუ 10 თებერვლამდე გაგრძელდა, კანონმდებლობის მიხედვით, საკრებულო იშლება. ვის აწყობს ეს ვარიანტი და მაშინ როდის ჩატარდება არჩევნები?

**„ალია“ კომენტარისათვის დაუკავშირდა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს, საკრებულოს წევრს კახა კუკავას:**

**— რა თამაში მიდის? საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბიუჯეტი ჩავარდეს და საკრებულო დაიშალოს? და ვის აწყობს ეს?**

– მე სხდომებს არ ვესწრები, რადგანაც არც ერთ გუნდს წარმოვადგენ და არც მეორეს. მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს ჩვენგან დამოუკიდებლად, დახურულ კარს მიღმა.

**— ისე, უშვებთ, რომ შეიძლება მართლაც არ მოხდეს ბიუჯეტის მიღება?**

– როგორ არ ვუშვებ, საკრებულოს უმრავლესობა ჯერჯერობით მაგ პოზიციაზეა, რომ არ უნდა მიიღოს, ეს ოფიციალურად დეკლარირებული მათი პოზიციაა. აქედან გამომდინარე, ეს გამორიცხული ნამდვილად არ არის.

**— და რაში აწყობთ საკრებულოს დაშლა? და თუ მართლაც დაიშალეთ, როდის ჩატარდება არჩევნები?**

– ეს პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური კომპეტენციაა და ამას, ალბათ, პრემიერი თავად გადაწყვეტს. ოფიციალურად კი რა ხდება, თავად ხედავთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი პოზიცია, თუ რა შენიშვნები უნდა შევიდეს ბიუჯეტში და გაითვალისწინონ, გაითვალისწინებენ, არ გაითვალისწინებენ და საზოგადოება თავის დასკვნებს გააკეთებს. იყო ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაციები, სავარაუდოდ, შედეგი დადგა და ვიმეორებ, ძალიან რთულია რამის თქმა, რადგან ეს ყველაფერი დახურულ კარს მიღმა იყო. რაზე ილაპარაკეს, ამის ანალიზი არ ღირს, სანამ არ გამოქვეყნდება ინფორმაცია ოფიციალურად. ჩემთვის ცნობილი არ არის, საკრებულო რა პუნქტის ჩადებას ითხოვს ბიუჯეტში, რომელზეც მერია პრინციპულად ამბობს უარს. რაც არ უნდა იყოს ფინალში, ჩემი აზრით, სრულიად ცხადად ჩანს, რომ ეს არ არის ჯანსაღი პროცესი და, რომ თბილისელებმა უნდა გააკეთონ დასკვნა, ამ ხალხს ანდობენ თუ არა კიდევ ერთი ვადით თბილისის თვითმართველობას.

**— ორივე მხარეს?**

– რა თქმა უნდა, ორივე მხარეს, რადგანაც ორივე მხარე სცოდავს.

**— და უმრავლესობის ცოდვა რაში მდგომარეობს?**

– უმრავლესობის ცოდვა ძალიან ბევრ რამეში მდგომარეობს, თუნდაც იმაში, როგორ ხდება საკრებულოს ხარჯების არამიზნობრივი გამოყენება, რაზეც „ალია“ რამდენჯერმე წერდა. ზოგადად, ჩვენი, ოპოზიციური პარტიის, დამოკიდებულება იცით, ჩვენ „ქართულ ოცნებასთანაც“ ოპოზიციურად ვართ განწყობილები და „ნაციონალურ მოძრაობასთანაც“, ეს განსაკუთრებული სიახლე არ არის და ჩვენ ვფიქრობთ, შეცდომა ისაა, ვერ დაანახა საკრებულომ თბილისელებს, რომ მას აქვს უნარი, თვითმართველობაში განახორციელონ ის ცვლილებები, რაც სჭირდება თბილისს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის ხუთი რაიონის გამგებელი დაიბარეს დაკითხვაზე პროკურატურაში, მათ შორის გლდანის, კრწანისის, დიდუბის, ჩუღურეთისა და ისნის და მათი დაბარება, ანძის გათიშვას უკავშირდებაო. რა ხელი ჰქონდათ ამ გამგებლებს ანძის გათიშვასთან?**

– დღეს მთელი დღე თათბირები იყო და ვერ მოვასწარი გარკვევა, ნამდვილად არ ვიცი, რა საქმესთან დაკავშირებით არიან დაბარებულები, ეს არის სისხლის სამართლის ახალი საქმე, თუ ძველი. ამ საკითხით ჩვენც ვართ დაინტერესებულები და უნდა გავარკვიოთ.

**— საკრებულოს წევრმა, ხვიჩა სანაიამ დატოვა საკრებულო. რატომ გავიდა თქვენი რიგებიდან?**

– მასთან დაკავშირება არ ხდება მთელი დღის მანძილზე, ეტყობა, თავად სურს ეს, რომ მიზეზი არ თქვას და მისი ნებაა.

**— პაატა დავითაიამ ინტერფრაქციული ჯგუფი დატოვა და თქვენც ხომ არ აპირებთ, მის მაგალითს მიბაძოთ?**

– ჩვენ, არასაპარლამენტო ოპოზიციას გვექნება მსჯელობა უახლოესი დღეების განმავლობაში, იმ საკითხზე, რა ვითარებაც შეიქმნა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით და შემდეგ ერთობლივ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჩვენ ველოდებით არსებული ხელისუფლებისგან შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას.

**— ისე, რა აზრი აქვს, მაინც არ იღებენ თქვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.**

– სწორედ მაგისთვის გვინდა შეხვედრა. ისე, იდეა ინტერფრაქციის დატოვებისა, არსებობს.



**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

## ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვია



საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ასევე შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი და საინვესტიციო სააგენტოს უფროსი გიორგი პერტაია.

ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი შეხვდება ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, საგარეო საქმეთა მინისტრ ავიგდორ ლიბერმანს და შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს.

საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის დამფუძნებელი მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალში.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი დაათვალიერებს ჰოლოკოსტის მუზეუმს და გვირგვინით შეამკობს იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალს – „იად ვაშემის“, იერუსალიმის ერების ხეივანში კი სიმბოლური ხის დარგვის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარკოტიკის შემოტანისთვის ორი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ტარიელ მ. და 1969 წელს დაბადებული ზაზა ფ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის, საქართველოში შემოტანისა და ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზაზა ფ-მ თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, ხოლო მისი საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა ტარიელ მ-მ უზრუნველყო. სამართალდამცველებმა ტარიელ მ-ს პირადი ჩხრეკისას 37 შეკვრად დაფასოებული 75,94 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 66,602 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზაზა ფ. დაკავებისას ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. (ინტერპრესნიუსი)

## „უდოს“ კომისია ახლებურად დაკომპლექტდება



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია („უდოს“ კომისია) ახლებურად დაკომპლექტდება. კომისიაში სამინისტროს სამი თანამშრომლის ნაცვლად, ორი თანამშრომელი ეყოლება. ამის ხარჯზე კი, კომისიის შემადგენლობას საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი წარმომადგენელი დაემატება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია შვიდი წევრისგან შედგება. დღეს არსებული წესის თანახმად, მის შემადგენლობაში შედის როტაციის წესით – საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების თითო-თითო წარმომადგენელი. კომისიაში თავად სამინისტროს სისტემიდან სამი თანამშრომელი შედის. (ინტერპრესნიუსი)

## სპეცოპერაციის დროს დაკავებულს პოლიციის განყოფილებაში მიაკვლიეს

26 იანვარს გვიან ღამით წაღვერში დაკავებულ გოჩა მახარობლიძეს თბილისში, პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მიაკვლიეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის განცხადებით:

„გვიან ღამით, დაახლოებით 01:40 სთ-ზე შსს-ს თანამშრომლებმა წაღვერში სპეცოპერაცია ჩაატარეს – შეიჭრნენ ერთ-ერთ ოჯახში და დააკავეს გოჩა მახარობლიძე, ოჯახის წევრებს კი არაფერი აუხსნეს. ისინი ჩაკეტეს ცალკე ოთახში და გოჩა მახარობლიძე წაიყვანეს. მთელი ღამე გატაცებულს ოჯახის წევრები უშედეგოდ ეძებდნენ. შემდეგ კი იპოვეს დიდ დიღომში, აღმაშენებლის №8-ში. ჩვენ მას დავეხმარებით და გამოვუყავით ადვოკატი, რომელიც დაკავებულს მოინახულებს“, – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შსს-ს თანამშრომლები ოჯახში შეჭრის მომენტში სამსახურებრივი ფორმის გარეშე იყვნენ. (ფრონტნიუსი)

## მარგველაშვილი პარლამენტში მისვლაზე კონსულტაციებს მართავს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში წლიური მოხსენების თარიღთან და ფორმატთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან კონსულტაციებს აწარმოებს. მისივე განმარტებით, მუშაობა მიმდინარეობს წლიური მოხსენების ფორმატთან დაკავშირებითაც.

„ჩვენ ამ თვალსაზრისით ვიმყოფებით ახალ ვითარებაში. თქვენ იცით, რომ პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და ბუნებრივია, ფორმატი შესაბამისი იყო. ჩვენ ამ ეტაპზე ახალ ტრადიციებს ვნერგავთ, უფრო სწორად ინტერპრეტაციას ვუკეთებთ ახალ რეალობას. ამასთან დაკავშირებით დავით უსუფაშვილთან ვმუშაობთ“, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა თებერვლის დასაწყისში პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბაროს. ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტში მისვლას პრეზიდენტს კონსტიტუცია ავალდებულებს. კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტმა წელიწადში ერთხელ პარლამენტს ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოხსენება უნდა წარუდგინოს.

პრეზიდენტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისვლის საკითხს პარლამენტის რეგლამენტი აზუსტებს და ამბობს, რომ პარლამენტი, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს, კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ისმენს. პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება. ეს დღე 4 თებერვალია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რისთვის დასჭირდა სუბარს რეზინის ტყვიები და წიწაკის გაზი?

**რატომ მკაცრდება სანქციები პატიმრების მიმართ? რატომ გახდა საჭირო „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანა ახლა და რა შემთხვევაში იქნება სანქციები გამოყენებული?**

„პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის მიხედვით, ხელბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გარდა, პატიმრის მიმართ დასაშვები ხდება, ისეთი ტიპის სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი და სასამსახურო ძაღლი. საკანონმდებლო ცვლილებები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოამზადა. სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ახალი კოდექსი ჰუმანიზაციისკენ არის მიმართული და სრულ შესაბამისობაშია ევროპულ და გაეროს მინიმალურ სტანდარტებთან.

არის თუ არა ახალი კოდექსი მართლაც ჰუმანური?

**„ალიას“ ესაუბრება უფლებადამცველი, ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი:**

– აღნიშნული სანქციების გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია. მსგავსი სანქციები, ბუნებრივია, მოქმედებს დასავლური ქვეყნების ციხეებშიც, თუმცა იქ მკაცრად არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში აქვს ციხის ადმინისტრაციას პატიმრების წინააღმდეგ მსგავსი სანქციების გამოყენების უფლება. მაგალითად, ციხეში ბუნტის დროს, რომ გამორიცხულიყოა საბრძოლო ტყვიების გამოყენება, რასაც ადგილი ჰქონდა წინა ხელისუფლების დროს, საჭიროა გამოყენებულ იქნას რეზინის ტყვიები. ეს ცვლილება მისასალმებელია. წინა ხელისუფლება იყენებდა ცეცხლსასროლ იარაღს და არავის უფიქრია, შეცვლილიყო ის რეზინის ტყვიებით. კოდექსში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნას გამოყენებული მხუთავი გაზი ან რეზინის ტყვიები. ასეთი სანქცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მასობრივი არეულობის დროს, ან როდესაც პატიმრების მხრიდან არსებობს რეალური საფრთხე ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლის ან სხვა პატიმრის სიცოცხლის ხელყოფის.

**— სუბარმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნა, რომელიც მათ უფლებადამცველებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მისცეს, გათვალისწინებულია. თქვენ წლებია, პატიმართა უფლებებს იცავთ, იყავით ამ პროცესში ჩართული?**

– არა, მე არ ვყოფილვარ ჩართული ამაში. ჩვენთვის არავის წარმოუდგენია ცვლილებათა პაკეტი და პირველად ამის შესახებ ტელევიზიით გავიგე, როდესაც უკვე ჩამოაყალიბეს ცვლილებები. ზოგადად, კარგია მსგავსი კოდექსის მომზადება, რადგან, როგორც ჩანს, ხელისუფლება აღარ გეგმავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ციხის ბუნტის აღსაკვეთად.

**— აღნიშნული სანქციები რაიმე საფრთხის შემცველი ხომ არ არის?**

– ბუნებრივია, ცვლილებები შეიცავს საფრთხესაც, ვინაიდან შესაძლოა, სანქციები არასაჭირო დროს იქნას გამოყენებული, მაგალითად, ერთი ან ორი პატიმრის დაუმორჩილებლობის დროს, ციხიდან რამდენიმე პატიმრის გაქცევის მცდელობისას, ან შიდა ნორმების დარღვევაზე. მსგავსი ქმედების დროს დაუშვებელია ამ სანქციები გამოყენება, როდესაც საქმე რამდენიმე პატიმარს ეხება. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ კანონში მკაცრად უნდა იქნას გაწერილი, რა შემთხვევაში იქნება დასაშვები აღნიშნული სანქციების გამოყენება. ეს სანქციები პატიმრების დასათრგუნად და დასაშინებლად კი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ წესრიგის დასამყარებლად. ამიტომ მკაცრად და სწორად უნდა იქნას კანონში გაწერილი ყოველი იარაღის გამოყენების აუცილებლობა და დასაშვებლობა. დასავლეთის ქვეყნებში მსგავს სანქციებს პატიმრების წინააღმდეგ იყენებენ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს, ეს არის ციხის ბუნტი, ადმინისტრაციისთვის რეალური საფრთხის შექმნა, მასობრივი გაქცევის მცდელობა, ან პატიმრების მხრიდან ერთმანეთის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა. ციხის ბუნტისა და მასობრივი გაქცევის დროს მსგავსი სანქციების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პროცესში ათეულობით ადამიანი მონაწილეობს, ნახევარი ციხე, ან პატიმართა მთელი შემადგენლობა. არაფრით არ უნდა მოხდეს, რომ სანქციები ერთი, ორი ან თუნდაც ხუთი პატიმრის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

**მოექცევა თუ არა სანქციების გამოყენება ჩარჩოებში?**

**„ალიას“ ესაუბრება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე:**

– ნებისმიერი იძულების საშუალების გამოყენება უნდა იქნას დაცული პროპორციულობის პრინციპით. თუ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად საკმარისია უფრო მსუბუქი იძულების საშუალების გამოქვეყნება, უნდა გამოიყენო მათგან ყველაზე უფრო მსუბუქი, რომლითაც შესაძლებელია აღკვეთა სამართალდარღვევისა. თუკი აღნიშნული ნორმა საკმარისი არ არის, მხოლოდ მაშინ შეიძლება უფრო მკაცრი სანქციის გამოყენება. ეს არის ზოგადი პრინციპი, რომლის დაცვის ვალდებულებაც აქვს ნებისმიერ შემსრულებელს მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტულად გაწერილი, რა შემთხვევაშია დასაშვები ხელკეტის გამოყენება, რა შემთხვევაში აირის, ან რეზინის ტყვიის. იმისთვის, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ძალის შესაძლო გადამეტება, რომლის მიზეზიც შეიძლება იყო სხვადასხვა, მათ შორის უცოდინრობა, ან სიტუაციის არასწორად შეფასება, უმჯობესია, მაქსიმალურად ზუსტად გაიწეროს, რა შემთხვევაში რა შეიძლება იქნას გამოყენებული. ზოგადი პრინციპია ისიც, როდესაც ადამიანი არის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამ დროს სანქციის, მით უფრო მკაცრი სანქციის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ჩვენი კომიტეტის მხრიდან აუცილებლად იქნება ეს ყველაფერი განსაზღვრული და გათვალისწინებული. ბუნებრივია, რა მოხდება ციხეში, რას იზამს კონკრეტული პატიმრების ჯგუფი, ამის პროგნოზირება ძალიან რთულია და ყველა შესაძლო შემთხვევა ვერ გაიწერება კანონში, მაგრამ უნდა ჩანდეს ჩარჩოები, რა შემთხვევაში რა უნდა გამოიყენო. მით უფრო, უნდა იყოს გაწერილი იმ სანქციის გამოყენება, რასაც შეუძლია მძიმე შედეგის მოტანა და ასეთია თუნდაც რეზინის ტყვია. ამიტომ ბუნებრივია, ჩარჩოებში იქნება ნებისმიერი სანქცია მოქცეული, მაგრამ ყველა შესაძლო შემთხვევა კანონში ფიზიკურად ვერ გაიწერება.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალასანიამ თეთრაძის საქმეზე კომენტარი გააკეთა



საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების მიხედვით, არ დასტურდება სამინისტროს იმ თანამშრომლების დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელთაც სერგო თეთრაძის ოჯახი ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ქმედებებში მონაწილეობას ედავება.

„მე ვიყავი პირველი, ვინც საჯაროდ განაცხადა ამ საშინელი დანაშაულის შესახებ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს. ჩემს მოვალეობადაც კი მიმაჩნია, რომ საქმე ბოლომდე მივიდეს ჩვენი მთავრობის პირობებში. რამდენიმე თვის წინ მე მივიღე უპრეცედენტო გადაწყვეტილება, როცა ოჯახსა და მის ადვოკატს შევხვდი. ჩემი გადაწყვეტილებით, მოვალეობა შეუჩერდათ იმ პირებს, ვინც ოჯახს ეგონა, რომ ჩართულია ამ დანაშაულში. მას შემდეგ პროკურატურამ შეისწავლა ეს საკითხი და მივიღე დასაბუთებული წერილები, რომ ამ კონკრეტულ პირებს არ მიუძღვით ბრალი. აქედან გამომდინარე, სხვა გზა არ ჰქონდა კადრების სამსახურს, გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები აღედგინა“, – განაცხადა ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ნარკოდანაშაულზე მსჯავრდადებულებს სააფთიაქო-ფარმაცევტული საქმიანობა აეკრძალებათ

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტის მიზანს აფთიაქებიდან ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი კომბინირებული პრეპარატების ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინების თავიდან აცილება წარმოადგენს.

კანონის გათვალისწინებით, რიგ ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირებთან მიმართებაში გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების, ასევე პასიური საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა. ეს შეზღუდვა სადღეისოდ სააფთიაქო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე არ ვრცელდება და პარლამენტში ინიცირებული პროექტით, კანონს შესაბამისი პუნქტი დაემატება.

გარდა ამისა, იზრდება უფლების ჩამორთმევის ვადებიც. კერძოდ, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, ან ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების ხელშემწყობს საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, ხუთი წლის ნაცვლად, 10 წლით ჩამოერთმევა, ხოლო განმეორების შემთხვევაში 10 წლის ნაცვლად, 15 წლით. ნარკოტიკების გამსაღებელს საექიმო, სააფთიაქო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება 15 წლის ნაცვლად, 20 წლით ჩამოერთმევათ.

„ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში გამოვლენილი სამართალდარღვევის შემდეგ, სამართალდამრღვევი ნებართვის გაუქმების თაობაზე განაცხადით საკუთარი ნებით შემოდის, ან ადმინისტრაციული ორგანო ნებართვას ბრძანებით აუქმებს. ამის შემდეგ იგივე მფლობელი, სხვა იურიდიული პირის სახელით, იმავე მისამართსა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე განაცხადით ახალი ნებართვის მისაღებად შემოდის. რის გამოც სამართალდამრღვევი პირები აგრძელებენ როგორც უკანონო საქმიანობას, ასევე უკანონო ქმედებებს და ინსპექციის მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებისა და საჯარიმო სანქციების გამოყენების მიუხედავად, სასურველი შედეგი ვერ დგება“. – ნათქვამია პარლამენტში გადაგზავნილ პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ მკაცრდება „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი?

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქეობას ვერ მიიღებს პირი, თუ ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ, მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი საქართველოს მოქალაქედ მიღება მიზანშეუწონელია.

პარლამენტში წარდგენილი პროექტით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ფართოვდება დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელში მონაწილეობისას პირი არ იქნება მიღებული საქართველოს მოქალაქედ. ეს დანაშაულებია: ადამიანის, სახელმწიფოს, ასევე საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით კანონში კონკრეტდება და ზუსტდება, რა შემთხვევებს მოიცავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის მტრულად განწყობილი ქვეყნის, ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან კავშირის შესახებ; უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან კავშირის შესახებ; ტერორისტულ ან ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ; ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვის, აგრეთვე, ადამიანთა ტრეფიკინგისა და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია საქმის განმხილველ ორგანოს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ სახელმწიფო საიდუმლოებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს ზიანი არ მიადგეს.

**კომენტარისთვის „ალია“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ხმალაძეს დაუკავშირდა.**

**— ბატონო ვახტანგ, რატომ გახდა საჭირო ამ ცვლილების შეტანა?**

– კანონპროექტი ახალი შემოსულია პარლამენტის აპარატში და დაახლოებით ერთ კვირაში დაიწყება მისი განხილვა.

**— ხომ არ აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლების დროს საეჭვო წარსულის მქონე ადამიანებს მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა? ალბათ, ამან გიკარნახათ კანონპროექტის მომზადება.**

– ინფორმაცია იმის შესახებ, რაზეც თქვენ მეკითხებით, ნამდვილად შეეფერება სიმართლეს, თუმცა ჩვენ ამის შემოწმების საშუალება არ გვქონდა. დიდი რაოდენობით უცხოეთის მოქალაქეებს მიანიჭა პრეზიდენტმა მოქალაქეობა და ამ დროს ის პირობა, რაც წერია კონსტიტუციაში, რომ მოქალაქეობა ენიჭება პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე, ან განსაკუთრებული საჭიროებით არის განპირობებული, დარღვეული იყო, ამის საფუძველი არ ჩანდა. ყველაფერი ეს არის შესასწავლი და უნდა ითქვას არა მხოლოდ ის, რა კეთდებოდა არასწორად, არამედ ისიც, რა პრევენციული ზომები უნდა მივიღოთ მსგავსის თავიდან ასაცილებლად.

**— მაგალითად?**

– მაგალითად ის, რომ მოქმედ კანონში წერია, რა პირობებში უნდა მიენიჭოს პირს საქართველოს მოქალაქეობა ან მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ. იქვე მითითებული იყო, რომ ამ პირობების მიუხედავადაც შეუძლია პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭება. ამის პრევენცია უნდა გაკეთდეს. ამ წუთას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც უკვე აქვთ მოქალაქეობა, პარლამენტს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, არც სხვას, არავის არ აქვს შესაძლებლობა, გააუქმოს მოქალაქეობის მინიჭების რომელიმე აქტი, რადგან კანონი აძლევდა პრეზიდენტს უფლებას, არანაირი განსაკუთრებული მიზეზი არ დასჭირვებოდა, ისე მიენიჭებინა მას მოქალაქეობა პირისთვის. ეს ნორმაც შესაცვლელია, არ უნდა იყოს. კანონში ბევრი რამ გათვალისწინებული არ იყო, ბევრგან მეტი სიცხადეა საჭირო.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# 2014 წელს მცირემიწიან ფერმერებს გაუმართლებთ

## ფერმერებისთვის გამოყოფილი 90 მილიონი და კარსმომდგარი გაზაფხული

გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აქტიური მუშა პროცესი მიმდინარეობს. სოფელი ხვნა-თესვისთვის ემზადება. განსაკუთრებულად კი, ბუნებრივია, ფერმერები.

**— რა სახის დახმარებასა და ხელშეწყობას მიიღებენ ქართველი ფერმერები წელს ხელისუფლებისგან? დაურიგებენ თუ არა მათ საწვავისთვის შესაძენ ვაუჩერს, შესაძლებელი იქნება თუ არა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა მაღაზიებში, ისევე, როგორც შარშან?**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიღებული და განხორციელებული ცვლილებების მიმართ ქართველი ფერმერების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მენეჯერი, **დავით კიკნაძე** საუბრობს:

**— ბატონო დავით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს ფერმერებს შარშანდელისგან განსხვავებულ, მათთვის უკეთესი პირობებით შედგენილ პროექტს სთავაზობენ. რა სიახლეებია პროექტში ჩადებული და რა თანხები იქნა მობილიზებული?**

– „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბიუჯეტი წელს 90 მილიონამდე ლარს შეადგენს. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტი და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, ხოლო ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

**— შარშან ბენეფიციართა სიებში დაუზუსტებლობა და ხარვეზები გაიპარა. ბევრმა ბარათი საერთოდ ვერ ან არ მიიღო...**

– გეთანხმებით, შარშან გამგეობების მხრიდან დაგვიანებული ინფორმაციის შედეგად ბარათების გაცემის პროცესში გარკვეული ხარვეზი გაიპარა. წელს კი, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, დაზუსტდა და გადამოწმდა პროგრამის ბენეფიციარების სიები. მოგახსენებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სიების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წელს დაახლოებით 800 000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს. ანუ ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია...

**— რამდენი ჰექტარია, მინიმალურს ვგულისხმობ, რასაც ფერმერი აუცილებლად უნდა ფლობდეს, რათა მან პროექტით გათვალისწინებული დახმარებებით ისარგებლოს?**

– ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, ორ კატეგორიად დაიყოფიან: ა) ფერმერები, რომლებსაც აქვთ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი და ბ) ის ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები. წელს პროექტს უფრო მეტი მიზნობრივი ბენეფიციარი ჰყავს... საერთოდ კი, „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები იქნებიან ის ფერმერები, რომლებსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰექტარის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებსაც



ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ.

**— რა ოდენობის სარგებელს მიიღებენ და რა სახის ბარათი, ანუ ვაუჩერი, გაიცემა წელს ფერმერებზე?**

– „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები წელს ორი ტიპის ბარათით ისარგებლებენ. ესენია: 1). ხვნის ბარათი და 2) ე.წ. „აგრობარათი“.

პირველი ბარათი ნიადაგის ხვნის სამუშაოების ჩატარებისთვისაა გათვალისწინებული, მეორე – სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიღებისთვის, რომელიც, გასული წლისგან განსხვავებით, საბანკო პლასტიკური ბარათით იქნება წარმოდგენილი. თითოეულ მათგანზე 50-50 ქულაა გათვალისწინებული.

**— ბატონო დავით, რა უპირატესობა ექნება პლასტიკურ საბანკო ბარათებს, ხომ ვერ დააკონკრეტებდით?**

– საბანკო პლასტიკური ბარათი, ანუ „აგრობარათი“, რომელთაც „ლიბერთი ბანკი“ დაამზადებს, ფერმერს ბევრად გაუმარტივებს ურთიერთობას სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელთან (მაღაზიებს ვგულისხმობ). ამ პლასტიკური ბარათის მეშვეობით, ფერმერს, შესაძლებლობა ეძლევა, სასურველი პროდუქტი შეიძინოს ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა მომწოდებლისგან და სხვადასხვა დროს.

**— ითვალისწინებს თუ არა პროექტი წელს ფერმერისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენას?**

– სამწუხაროდ – არა. მოგეხსენებათ, რომ შარშან პროექტის ფარგლებში ფერმერებმა სასოფლო-სამეურნეო ბარათით 53 მილიონი ლარის ინვენტარი შეიძინეს. იქიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი არ არის მოხმარებისთვის მხოლოდ ერთ წელზე გათვლილი, წელს პროექტი ამ მიმართულებით არ განვავითარეთ.

**— მოგეხსენებათ, ფერმერთა ნაწილმა სახნავი სამუშაოები უკვე დაიწყო და სადაცაა დაამთავრებს კიდეც. მათ კუთვნილ „ხვნის ბარათს“ რა ბედი ეწევა ამ შემთხვევაში?**

– მიწა, ახლა, ძირითადად ქვემო ქართლში იხვნება... ჩვენ უკვე გვაქვს გათვალისწინებული ასეთი ფერმერების მდგომარეობა. ყველა ის ბენეფიციარი, რომელმაც მიწა უკვე დახნა, „ხვნის ბარათს“ უკან დააბრუნებს, სამაგიეროდ, მოხნული ფართის გათვალისწინებით, დახარჯული თანხის ოდენობა „აგრობარათზე“ დაუჯდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი გააკონტროლებს მთელ ამ პროცესს და ვიმედოვნებ, უკმაყოფილო ბენეფიციარი პროექტს არ ეყოლება.

**— როგორც ვიცი, ფერმერებისთვის, პროექტში წელს, შეღავათიანი აგროკრედიტებიცაა გათვალისწინებული.**

– დიახ, ფერმერს სამი სახის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს ვთავაზობთ: 1) 6-თვიანი უპროცენტო სესხი 5000 ლარამდე; 2) 3%-იანი არაუმეტეს 7 წლის შეღავათიანი აგროკრედიტი 1 000 000 მლნ ლარამდე; და 3). არაუმეტეს 8%-იანი შეღავათიანი აგროკრედიტი 5 000-1 000 000 მლნ ლარამდე.

**— ვინ უზრუნველყოფს ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით?**

– მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნასა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას გულისხმობს, შპს „მექანიზატორი“ და 117 კონტრაქტორი შეასრულებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

**— დაბოლოს, რა ვადებს მოიცავს პროექტი და როდის ამოქმედდება?**

– „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 1-ელ თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება.

*თამუნა მჭედლიშვილი*

## საწვავის ფასზე ლარის კურსის ცვალებადობაც მოქმედებსო



ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის განცხადებით, საწვავის ფასის რეგულირებაში მთავრობა უხეშად ვერ ჩაერევა. მისი თქმით, ყველაფერი დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე.

„რა თქმა უნდა, საწვავის ფასზე ლარის კურსის ცვალებადობაც მოქმედებს, როგორც ნებისმიერ ექსპორტირებულ საქონელზე. კორიდორის ლიბერალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საქართველოში არსებულ ყველა კომპანიას საშუალება ჰქონდეს, თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან მოახერხონ ნავთობპროდუქტების შემოტანა საქართველოში, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი და ეს ფასებზეც იმოქმედებს“, – განაცხადა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## რა საიდუმლოს არკვევს სოზარ სუბარი?

სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, მის უწყებაში მანქანები საიდუმლო მუხლითაა შეძენილი.

„ჩვენს ავტოპარკში არის რამდენიმე მანქანა, რომელიც, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არანაირ სტანდარტში არ ჯდება. ეს მანქანები იქნა შეძენილი საიდუმლო მუხლით, თუმცა გაუგებარი და დაუსაბუთებელია, რა საიდუმლოა მანქანის შეძენაში. პირადად ჩემი სამინისტროდან გაგზავნილი გვაქვს გასაიდუმლოების მოთხოვნა და თუ რა მანქანები იქნა შეძენილი, რა ფული იხარჯებოდა, ამას საზოგადოება გაიგებს“, – განაცხადა სუბარმა და იქვე განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ, შესაძლოა, რამდენიმე მანქანა გაიყიდოს.

გასული ერთი წლის განმავლობაში კი, მინისტრის განმარტებით, ერთადერთი, რა მანქანების შეძენაც მოხდა, ეს იყო ბადრაგისა და სპეციალიზებული ავტომობილები. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ატარებინებს მთავრობა ტექდათვალიერებას უცხოურ კომპანიას?



27 იანვრის მთავრობის სხდომის შემდეგ, ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს დაევალათ, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას დაქვემდებარებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით ტესტირების უზრუნველსაყოფად, ანუ „ტექდათვალიერებისთვის“, მოლაპარაკებები აწარმოონ საერთაშორისო ოპერატორ „TUV Rheiland Group“-თან, მასთან მთავრობის სახელით გასაფორმებელი მემორანდუმი შეიმუშაონ და მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარადგინონ. კანონმდებლობის თანახმად, 2015 წლის 1-ელი მარტიდან „ტექდათვალიერებას“ დაექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება.



**ახალი განკარგულების შემოღებასა და მძღოლებისთვის მოსალოდნელი პრობლემების შესახებ „ალია“ „საქართველოს საავტომობილო ფედერაციის“ პრეზიდენტს, შალვა ოგბაიძეს დაუკავშირდა:**

**— საქართველოს ეკონომიკისა და შს სამინისტროს წარმომადგენლებს უახლოეს მომავალში საერთაშორისო ოპერატორ „TUV Rheiland Group“-თან მოლაპარაკების დაწყება დაევალათ. იცნობთ ამ კომპანიას? რა რეპუტაცია აქვს?**

– ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც შეხება აქვს ავტომობილთან, ვგულისხმობ პროფესიონალურ დონეზე, ცნობილია ამ კომპანიის იმიჯი. ეს არის 140 წლის ორგანიზაცია, რომელიც არის ბრენდი. მას დამკვიდრებული აქვს თავისი იმიჯი სწორედ მომსახურების მაღალი ხარისხით, არაკორუმპირებულობითა და მაღალი პროფესიონალიზმით, ეს იცის ყველამ.

**— ვიდრე ტექნიკური დათვალიერების პროცედურა შეჩერდებოდა, ეს სფერო ასოცირდებოდა კორუფციასთან. აღნიშნული კომპანიის პირობებში ეს გამორიცხულია?**

– საქართველოში მიიჩვია ყური, რომ ნებისმიერი კომპანიის უკან ვიღაც დგას. ეს ლეგიტიმური ეჭვიც არის, რადგან ვიდრე ტექნიკური დათვალიერების პროცედურა შეჩერდებოდა მსუბუქი ავტომობილების ინსპექტირების საკითხში, ეს სფერო იყო კორუფციაში ჩაფლული. რეალურად არანაირი ტექნიკური შემოწმება არ ხდებოდა, ეს იყო კორუფციული საქმიანობა, იყო ღია წესით აღებმიცემობა სახელმწიფო სტრუქტურაში, კერძოდ, საგზაო პოლიციაში. თუმცა ეს ჯგუფი არის მაღალი რანგის ორგანიზაცია, ძალიან კარგი და სერიოზული იმიჯით, ამ შემთხვევაში რაიმე კორუფცია გამორიცხულია.

**— ვინაიდან თქვენ ამ კომპანიას კარგად იცნობთ, გეცოდინებათ, აქვთ თუ არა მათ მომსახურების ფასები ადეკვატური? ვგულისხმობ იმ ქვეყნების ეკონომიკური ცხოვრების დონის შესაბამის გადასახადს, სადაც არიან წარმოდგენილები.**

– ჯერ ფასებზე საუბარი არასერიოზულად მეჩვენება. თუმცა ფასწარმოქმნა საქართველოში არის სულ სხვა თემა, რომელზეც საუბარი უნდა იყო მოლაპარაკებისას მხარეებს შორის. ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ სურვილზე, ვარაუდზე, მაგრამ ეს ხომ არ იქნება ის, რა ფასსაც დაადგენს საქართველოში შემოსული კომპანია? თუმცა მე ჩემს, როგორც რიგითი ავტომძღოლის, სურვილს გავაჟღერებ, რომ ტექნიკური დათვალიერების ფასი უნდა იყოს ადეკვატური, თანაზომადი ჩვენი შემოსავლების და ეკონომიკური მდგომარეობისა. ის არ უნდა ურტყამდეს ჯიბეს და არ უნდა ჰქონდეს დასჯის ფორმა. ეს არის სურვილი.

**— როდესაც სავალდებულო გახდა ღვედის გაკეთება, ამანაც კი გამოიწვია მძღოლების ერთი ნაწილის პროტესტი, სავარაუდოდ, ამ წესის აღდგენაც გამოიწვევს მათ უკმაყოფილებას. ამ ეტაპზე საჭიროა ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების აღდგენა?**

– ღვედები კარგი მაგალითი მოიყვანეთ. ღვედის მოჭერა სასიამოვნო პროცედურა არ არის, მაგრამ მე ეს ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის მთავარი იყო იმ მშობლების მადლობა, რომელიც მივიღეთ გზებზე სიარულის ჯანსაღ და უსაფრთხო გადაადგილების რეკლამირების შემდეგ. როდესაც ბიზნესმენს შეზღუდავ, მოწამლული, გენმოდიფიცირებული, ან ვადაგასული პროდუქცია არ შემოიტანოს, ის ბიზნესმენი გამოთქვამს პროტესტს, მაგრამ მეორე მხარეს ხომ დგას საზოგადოების ინტერესი, რომელსაც სჭირდება ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო. ასეა ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების შემთხვევაშიც. აქ ერთ მხარეს დევს ყველაზე დიდი საპირწონე, რაც არის მომატებული სიმსივნური დაავადებები, სისხლის გათეთრების გახშირებული შემთხვევები, ბავშვებში დაავადებების მატება, ანუ ის დაავადებები, რომელიც გაუმართავი ავტომობილის გამონაბოლქვს მოჰყვება. ამიტომ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს გათვალისწინებული უნდა იყოს. აუცილებელია, რომ მანქანას უჭერდეს მუხრუჭი, რათა რაიმეს არ დაეჯახოს და უკან შავი შლეიფი არ გამოსდიოდეს. ყოველგვარი ტექნიკური დათვალიერების გარეშეც ეს ასე უნდა იყოს, ეს აუცილებელია და ამაზე პროტესტი არ მიმაჩნია სწორად.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ევროპისკენ მივდივართ და გვინდა ამ დიდ ოჯახში მოხვედრა. სწორედ ამ ნაწილში უნდა გვინდოდეს და ვბაძავდეთ ევროპას. ტექნიკური დათვალიერების პროცედურა ხორციელდება გაეროს და ევროპული დირექტივების შესაბამისად. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ახალ მანქანას ოთხი წლის განმავლობაში არ სჭირდება ტექნიკური დათვალიერების გავლა. ოთხი წლიდან 8-10 წლამდე ავტომობილებს ორ წელიწადში ერთხელ სჭირდებათ ტექნიკური დათვალიერების გავლა. რაც უფრო ძველდება მანქანა, ბუნებრივია, უფრო მეტი ყურადღება სჭირდება. რისკი მისი დაზიანებისა და ლითონის „დაღლისა“ მეტია და მას უკვე ყოველ წელს სჭირდება ტექდათვალიერება. ასეა მთელ მსოფლიოში.

**P.S. საინტერესოა რატომ უნდა ჩაატაროს ტექდათვალიერება უცხოურმა კომპანიამ? რატომ უნდა უხადოთ ფული უცხოელებს, როცა საქართველოშიც მოიძებნებოდა გამოცდილების მქონე კომპანია?**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა. გადაწყვეტილების თანახმად, გაუქმდა 2011 წელს პრეზიდენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც, ივანიშვილს მოქალაქეობა შეუწყდა.

სასამართლოს ინფორმაციის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის №602 ბრძანებულება ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში; ალექსანდრე ბარამიძეს დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 1-ელი აგვისტოს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 (სამასი) ლარის ოდენობით“, – აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს 26 იანვრის გადაწყვეტილებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ავტომობილების შეძენის, ჩანაცვლებისა და გადანაწილების წესი დამტკიცდა

წესის მიხედვით, სახელმწიფო ორგანიზაციების სატენდერო წინადადებებში მოთხოვნილი იქნება არა მხოლოდ შესაძენი მანქანის საწყისი ღირებულება, არამედ მანქანის საწყის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ფასი ერთი წლის განმავლობაში (საწვავის ხარჯი, მომსახურების ხარჯი და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

სახელმწიფო ავტოპარკი დაიყო ოთხ კატეგორიად: IV ყველაზე დაბალი კატეგორიის ავტომობილები გამოიყენება საკურიერო-საფელდეგერო მომსახურებისთვის და ქალაქის შიგნით თანამშრომელთა ტრანსპორტირებისთვის. ამ კატეგორიის ავტომობილის ფლობის მაქსიმალურ ფასად განისაზღვრა – 15 400 დოლარი, ხოლო 1-ელ კატეგორიად განისაზღვრა ავტომობილები, რომლებიც მოემსახურებიან მინისტრის მოადგილეებს და სხვა ამ რანგის თანამდებობის პირებს. მსუბუქი (სედანი) ავტომობილის მაქსიმალურ ფასად ამ კატეგორიაში განისაზღვრა 31500 დოლარი (ფასში შედის ავტომობილის საწყის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში).

**III** კლასის ავტომობილები გამოიყენება სამორიგეო, მომარაგების, თანამშრომლების ტრანსპორტირებისთვის ქვეყნის მასშტაბით; მოემსახურება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის სამსახურის უფროსს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, რეგიონალური და/ან რაიონული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და სხვა ამ რანგის თანამდებობის პირებს. ფლობის მაქსიმალური ღირებულება – 16800 დოლარი (ფასში შედის ავტომობილის საწყის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). მაღალი გამავლობის ავტომობილებისთვის 24300 დოლარი.

**II** კლასის ავტომობილები მოემსახურება ქვემოჩამოთვლილი რანგის საჯარო მოსამსახურეებს და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დეპარტამენტის უფროსი, მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირები და სხვა ამ რანგის საჯარო მოსამსახურეები. მსუბუქი ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებაა 21000 დოლარი. მაღალი გამავლობის ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულება 26500 დოლარი.

**I** კლასის ავტომობილები განკუთვნილია ქვემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირებისთვის და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მოადგილეები, და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირები; საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში ეკონომიკური საბჭოს მდივანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი და სხვა ამ რანგის თანამდებობის პირები. მსუბუქი ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებაა მაღალი გამავლობის ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულება 47000 დოლარი. (ინტერპრესნიუსი)

## აპრილში საქართველოს პელე ესტუმრება



მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული პელე ეწვევა. ამის შესახებ საქართველოში „არგენტინის სახლის“ ხელმძღვანელმა ნიკო პატარქალიშვილმა განაცხადა.

„ყველა საკითხი შეთანხმებულია, დარჩენილია მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები. სამხრეთ ამერიკული ქვეყნების მხრიდან იყო შემოთავაზება, რომ ტურნირი აპრილის დასაწყისში ჩატარდეს და, სავარაუდოდ, ამ პერიოდში გაიმართება. გარდა ამისა, მსგავსი ტურნირი და პელეს ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საქართველოსა და სამხრეთ ამერიკული ქვეყნების ურთიერთობას“, – აღნიშნა პატარქალიშვილმა.

პატარქალიშვილი პელეს მასპინძლობასა და ტურნირის ჩატარებაში დახმარებას საქართველოს მთავრობას, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობას კი ვიცე-პრემიერს, ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს სთავაზობს.

მისივე თქმით, ტურნირის გახსნაში მონაწილეობისთვის ის ასევე იწვევს ბერა ივანიშვილს, ქართულ ფოლკლორულ-ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, ბრაზილიელ სამბას მოცეკვავეებსა და ტანგოს ცეკვის ჯგუფებს არგენტინიდან.

ტურნირის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია სკულპტურის წარდგენა, რომელზეც გადმოტანილი იქნება საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის მოსკოვში გამართული მატჩის შემდეგ გადაღებული ცნობილი ფოტო. ფოტოზე ანზორ კავაზაშვილი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და პელე არიან. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ არის მამა ელიზბარი ოთხი კონფესიის დაფინანსებს წინააღმდეგი?



პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სომხური სამოციქულო, კათოლიკური, მუსლიმანური და იუდეური რელიგიური გაერთიანებები, ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებენ.

„ხშირად გვესმის ოპოზიციისგან, რომ ჩვენი მთავრობის პერიოდში გახშირდა კონფლიქტები რელიგიურ ნიადაგზე, რაც კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენ გვაქვს თანაბარი პატივისცემა სხვადასხვა რელიგების მიმართ. ამის დასტურია ის, რომ გამოგვაქვს საკითხი, რომელიც შეეხება 4 რელიგიური მიმართულების ბიუჯეტიდან დაფინანსებას. ეს დაფუძნებული იქნება იგივე პრინციპზე, რომლითაც ვაფინანსებთ მართლმადიდებლურ ეკლესიას“, – განაცხადა ღარიბაშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია თანხის ოდენობა, რამდენით დაფინანსდება აღნიშნული კონფესიები.

ეს მოგვიანებით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა დააკონკრეტა: „ბიუჯეტიდან 4 რელიგიური კონფესიის დაფინანსების ინიციატივა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა. უკვე ვიმუშავეთ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად. თანხის ზედა ზღვარი დაახლოებით 4.5 მილიონი ლარით განისაზღვრება, ეს გაიყოფა პროპორციულად, ანუ არათანაბრად“.

საქართველოს მთავარი რაბინის, ავიშაი ბათიაშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება კონსულტაციების შედეგად იქნა მიღებული. მისი თქმით, კონსულტაციები ეხებოდა არა მხოლოდ დაფინანსებას, არამედ რელიგიური ჯგუფების მდგომარეობას და მისასალმებელია, რომ სწორი გაგება აქვს ხელისუფლებას ამ თემების მიმართო.

კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლის აკაკი ჭელიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ წარსულშიც იყო ამგვარი საუბრები, პრემიერის განცხადება მოულოდნელი იყო.

სომეხთა ეკლესიის წარმომადგენლის, ლევონ ისახიანის თქმით, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეს თანხა პროპორციული იქნება, რაც მოქალაქეთა თანასწორობის დაცვას უზრუნველყოფს.

სხვა კონფესიის წარმომადგენლები, რომლებიც დასაფინანსებელთა სიაში ვერ მოხვდნენ, დისკრიმინაციულს უწოდებენ ამ გადაწყვეტილებას. ამავე აზრს ავითარებს სახალხო დამცველიც. „ჩვენი რეკომენდაცია მდგომარეობდა იმაში, რომ დაწყებულიყო დისკუსია უშუალოდ რელიგიური ჯგუფების, ორგანიზაციების აქტიური ჩართვით და რაღაც გარკვეულ მოდელზე მომხდარიყო შეთანხმება. მისასალმებელია, რომ მთავრობა ითვალისწინებს ამ რეკომენდაციას, თუმცა დისკუსიის საგანი უნდა გახდეს, ვინ უნდა მიიღოს ეს და ჩვენი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში არავინ არ უნდა დარჩეს“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

პრემიერის გადაწყვეტილებას საპატრიარქო განცხადებით ეხმაურება:

„მთავრობის დადგენილებას „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე, საქართველოს საპატრიარქო დადებით მოვლენად მიიჩნევს. საბჭოთა რეჟიმმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, სხვა რელიგიებიც დააზარალა და მთავრობის ეს ნაბიჯი სამართლიანობის აღდგენის გამოხატულებაა“.

კონფესიების დაფინანსების საკითხს მამა ელიზბარ დიაკონიძე გამოეხმაურა და „ალიას“ განუცხადა:

„მიმიფურთხებია იმ სახელმწიფოსთვის, სულერთი რომ არის, ვის დაკრულ დოლზე იცეკვებს მისი ხალხი. ამასაც მოვესწარით, მართლმადიდებლურ სახელმწიფოში სხვა კონფესიებს რომ აფინანსებენ, სულში ჩაგვაფურთხონ, სჯობია. ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო „მოქალაქე“ რომ გააკეთა, თავის თეთრ ზვიგენს თუ აძლევს მოქალაქეობას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რელიგიის შესახებ კანონი იქნა შემოღებული, ვამბობდი, აი, ნახეთ, თუ არ დააფინანსონ ეგენი-მეთქი. არა, ამას არ ვიზამთო, ასე თქვეს. მართლაც არ უქნია ეს წინა ხელისუფლებას, მაგრამ ახალმა გააკეთა. საპატრიარქო რატომ არ გამოხატავს ამაზე უკმაყოფილებას? იმიტომ, რომ თავად არის ჩასვრილი. თუ იტყვიან, ჩვენი მოქალაქეები არიანო, კი ბატონო, სამსახური მისცენ და ამ მხრივ იზრუნონ მოქალაქეებზე, რელიგიას რატომ იყენებენ? რომელ ქვეყანაში აფინანსებენ მართლმადიდებლობას ასე? ჩავიდეთ თურქეთში და გავივლი მე ანაფორით, ნახავთ, რაც მომივა. მე არ ვარ ტოლერანტი, ბატონო. ტოლერანტობა სხვა რამეა და არა ის, რაც ამათ ჰგონიათ. ამ ხელისუფლებამ სულში ღორები ჩაგვაკლეს. ხვალ რეგიონული ენების შესახებ კანონს მიიღებენ და ამას თამამად გამოაცხადებს „ბიძინა ღარიბაშვილი“. მე გეტყვი ღარიბაშვილო, რაში უნდა დახარჯო ფული, თუ არ იცი. ახლა ვარ წეროვანში, დევნილთა დასახლებაში. ჰუმანიტარული ტვირთი დავარიგეთ და წავაწყდით ასეთ რამეს: კულტურის სახლს გათბობა არ აქვს, კანკალებდნენ, ყბას ყბაზე აცემინებდნენ, ტუალეტებში წყალი არ არის, შუქი არ არის. 4 მილიონ-ნახევარს შენს გაჭირვებულ მოქალაქეებს არ ახმარ და კონფესიებს ურიგებ? რომელს უჭირს ფული, სომხურ ეკლესიას, თუ მუსლიმანურს? ეს გაყინული და მშიერი ბავშვები არიან ქვეყნის სიმბოლო“.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## სამუშია სევდიას „საბოტაჟის შეწყვეტისკენ“ მოუწოდებს



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშია მერის მოვალეობის შემსრულებელს, სევდია უგრეხელიძეს „საბოტაჟის შეწყვეტისკენ“ და საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის განხილვისკენ მოუწოდებს.

საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეს განცხადება ჯაბა სამუშიამ სევდია უგრეხელიძის მიერ გავრცელებული წერილის საპასუხოდ გააკეთა, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი საკრებულოში მისვლას არ აპირებს. სამუშიას თქმით, საკრებულოს თავმჯდომარემ პარასკევს მოუწოდა მერის მოვალეობის შემსრულებელსა და მერიის საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებს, მისულიყვნენ საკრებულოში და ემსჯელათ ბიუჯეტის პროექტზე, თუმცა, როგორც სამუშია აცხადებს, მერიას ამის მზადყოფნა არ გააჩნია.

„ჩემთვის გაუგებარია „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია. მერიის წარმომადგენელთა საქციელი პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ თბილისს არ ჰქონდეს ბიუჯეტი. მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სევდია უგრეხელიძეს, მეტი სერიოზულობით მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს და მობრძანდეს საკრებულოში, რათა მუხლობრივად იქნას განხილული ბიუჯეტის ფინანსური და პოლიტიკური ასპექტები“, – განაცხადა სამუშიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სამხედრო პოლიციას ნარკოტიკების მოხმარებაზე ამოწმებენ



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შემოწმება ხორციელდება.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მიზანს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარების ფაქტებზე გეგმიური პრევენციული შემოწმება წარმოადგენს. პირველ ეტაპზე ნარკოლოგიური შემოწმება სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა კახაბერ ჩიხრაძემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა გაიარეს.

სამხედრო პოლიციელთა ნაწილი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში იმყოფებოდა. მათ ადგილზე ნარკოლოგიური ტესტი ჩააბარეს. შემოწმება ჩატარდა ქუთაისშიც. ღონისძიება კანონმდებლობის გათვალისწინებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყველა ქვედანაყოფში პერმანენტულად განხორციელდება. (ინტერპრესნიუსი)

## ბიზნესი გააქტიურებულიაო?



ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის განცხადებით, საქართველოში სამი ახალი ჰესი აშენდება.

„მდინარე რიონზე 230 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰესზე იყო გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა, რომელშიც გამარჯვებულად თურქული კომპანია „ჩალიკ ენერჯი“ გამოცხადდა, რომელმაც ძალიან კარგი შეთავაზება გაუკეთა სახელმწიფოს გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებით. ფასი გახლავთ 4,5 ამერიკული ცენტი. მათ უკვე წარმოადგინეს საბანკო გარანტიაც და 12 თვის განმავლობაში უნდა განახორციელონ ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რის შემდეგაც ხელშეკრულებაში ჰესის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები დეტალურად გაიწერება“, – განაცხადა კალაძემ.

მეორე პროექტია „მესტიაჭალა“, რომელიც 27 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური იქნება და ენგურის შენაკადზე აშენდება. როგორც კალაძემ განმარტა, ინვესტიციის რაოდენობა 39 მილიონი დოლარია.

„12 თვის განმავლობაში იქაც უნდა მოხდეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რის შემდეგაც მოხდება სპეციალური დოკუმენტაციის წარდგენა მშენებლობის ნებართვის მისაღებად. საჭირო პროცედურების დასრულების შემდეგ ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწერება მშენებლობის დაწყებისა და დასრულების ვადები. ინტერესთა გამოხატვა „საქართველოს ბანკმა“ მოიგო“, – განაცხადა კალაძემ.

მინისტრის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიზნესი ბოლო პერიოდის განმავლობაში გააქტიურებულია, „ეს ძალიან სასიხარულოა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უახლოეს მომავალში საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს“. – აღნიშნა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)



## ექსპერტი



# რატომ უნდა იაროს მარგველაშვილმა ვიზიტებით?

**27 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომა გამართა, სადაც რამდენიმე საკითხს შორის გამოიკვეთა ორი თემა: პირველი — რელიგიური კონფესიების დაფინანსება; მეორე — ქართულ მედიასთან დაკავშირებული პრობლემები. სხვათა შორის, ჩვენ უკვე ვწერდით 17 იანვრის „ალიაში", რომ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში რაღაც ვერ არის კარგად. ამას ადასტურებს ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაც. რა ხდება და რა მოვლენებთან გვაქვს საქმე, ამაზე „ალიას" პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრება.**

**— ბატონო რამაზ, უკვე გაცხადდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა ბიუჯეტიდან კიდევ 4 რელიგიური კონფესია დაფინანსდება. რა არის ეს, პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ მცირე კონფლიქტების მოგვარების მცდელობა?**

– ალბათ, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი იყო სომხების აქტიურობა. ბოლო დროს ტრიალებდა აზრი, რომ სომხეთის გრიგორიანულ ეკლესიას ჰქონოდა ისეთივე პირობები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორიც აქვს ქართულ ეკლესიას. ამაზე საუბარი ყოველთვის იყო, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე. ახლა ჩვენი მთავრობა მარტო სომხებს ვერ მისცემდა დაფინანსებას, ვერ მიანიჭებდა უპირატესობას და ამიტომ კიდევ სამი მიაყოლა.

**— ხომ შეიძლება, ამან გამოიწვიოს უხერხულობები და სექტანტურმა დაჯგუფებებმაც მოითხოვონ დაფინანსება? მესმის, რომ ამ შემთხვევაში ტრადიციული კონფესიები დაფინანსდება, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს საქართველოა.**

– ეგ საფრთხე მართლაც არსებობს, მაგრამ კანონში ხაზგასმით წერია, რომ საქართველოში უპირატესობა ენიჭებათ ოფიციალურ რელიგიებს და არა სექტებს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯი ქართული ეკლესიის მიმართ, ძალიან უჭირდა სხვა კონფესიების წარმომადგენლების მოგერიება. ღარიბაშვილმა ბუნებრივი გზა გაკვალა და ახლა სამართლიანი იქნება, სხვა კონფესიები დაფინანსდნენ იმის მიხედვით, ვის რამდენი მრევლი ჰყავს.

**— ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციას „ნაციონალები" უკვე „ელადავებიან", მაგათი არასამთავრობოები ოფიციალურად მიმართავენ, მხარი დაგვიჭირეთ, ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად უნდა ვაღიაროთო.**

– „ნაციონალებს" ამისი ნიჭი ნამდვილად აქვთ, ვერ წაართმევ. რაც შეეხება ივანიშვილის არასამთავრობოს, თუკი პოლიტიკა ჩვენში პოლარიზებულია, სამოქალაქო სექტორი პირიქითაა და მოსალოდნელია, რომ ანალოგიურად ვერ მოიქცევა, ანუ შუას ვერ გაკრეფს. სხვათა შორის, განაცხადში ივანიშვილს უწერია, დავეხმარებით დამოუკიდებელ და პასუხისმგებლიან მედიასო. მე საერთოდ არ მესმის, ეგ საკითხი ვინ უნდა გაარკვიოს სასამართლოს გარეშე? მედია პასუხისმგებლიანია თუ არა, ამას არკვევს სასამართლო, თუ ვინმე იჩივლებს. მე რატომ უნდა დავუჯერო ვინმეს, ვისაც პრესა გააკრიტიკებს? ბიძინა ივანიშვილი ვერ გადაწყვეტს, რომელი მედიასაშუალებაა სამართლიანი. ამ შემთხვევაში გაკრეფა არ გამოვა... თუ გახსოვთ, ყოფილი პრემიერი ექსპერტებსაც გვეკამათა, მედიასაშუალებების ხელმძღვანელებსაც, მაგრამ არც ერთი არ გაგვკრიფა. პოლიტიკაში ასეთი რამ ხდება, შეიძლება სხვას ამომრჩეველი წაართვა, ამით დაასუსტო, მაგრამ მედიას, ანუ მოლაპარაკე თავებს რა უნდა წაართვას?

**— ანუ სამოქალაქო სექტორში სივრცე უფრო გაშლილია და დარტყმები არ გამოუვა?**

– სამოქალაქო სექტორში მას კამათის საშუალება უფრო მეტად ექნება. ჩემი აზრით, ივანიშვილის სურვილიც ეს არის. ის დინამიკას შემოიტანს და ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ საზოგადოების ყურადღება ხელისუფლებას მოშორდება და მისკენ გადაიწევს. თუკი დღეს ხელისუფლებას ვინმე აკრიტიკებს, ამ კრიტიკის ბოლო ადრესატი მაინც არის ბიძინა ივანიშვილი.

**— ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე მკაცრად თქვა: ვინ გაბედა, იმის თქმა, თითქოს მე „მაესტროს" ინტერვიუს არ ვაძლევ, თითქოს მხოლოდ პრესტიჟულ ტელეარხებზე დავდივარო? მე დარწმუნებული ვარ, ასეთი პასუხი მისივე პრესსამსახურიდანაა გაცემული, აბა, მე ხომ არავინ დამეკითხებოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს რაზე მიანიშნებს, პრემიერის გარემოცვაში ღალატია?**

– როცა ასეთი ტიპის ფორმულირება გარეთ გამოდის, სიჩუმეს აზრი აღარ აქვს. ბოლო დროს მაღალი თანამდებობის პირები ხშირად უპირისპირდებიან თავიანთივე სტრუქტურების წარმომადგენლებს, რათა თავიდან აიცილონ სკანდალი. საკუთარ თანამშრომლებს კიცხავენ, რათა საზოგადოებაში უფრო მეტი ნდობა მოიპოვონ. ამ შემთხვევაში ასეთი პოზიცია პირველი პირისთვის ძალიან მძიმეა.

**— ამდენმა გაკიცხვამ დაგვღალა, ვიღაცა ხომ უნდა დაისაჯოს?**

– აი, ეგ საინტერესო ფენომენია, ახალი ხელისუფლება იშვიათად ხვდება ხოლმე, როდის და რით იღლება ხალხი. თუკი საზოგადოებას ეს კინო უკვე ნანახი აქვს, აქ უკვე საჭიროა რაღაც სხვა ალღო. საზოგადოებაში მობეზრება არის ყველაზე ცუდი რამე.

**— მარგველაშვილის მრჩეველმა, ვანო მაჭავარიანმა განაცხადა, მალე საქართველოს თურქეთის პრეზიდენტი ეწვევაო. ჩვენმა პრეზიდენტმა რა ჩამოიტანა თურქეთიდან, იმან რა უნდა წაიღოს საქართველოდან? სხვათა შორის, ზოგიერთი თქვენი კოლეგა ამტკიცებს, რა ხელშეკრულებებიც თურქებთან დასადები იყო, მიშა სააკაშვილმა უკვე დადო და ახლა ესენი, უბრალოდ, დასეირნობენო.**

– მაღალი თანამდებობის პირების ურთიერთობას მნიშვნელობა კი აქვს, მაგრამ საკითხის გაუბრალოება გამოიწვია ახალმა კონსტიტუციამ, რომლის მორგებასაც აპირებდა სააკაშვილი. ის გრაფიკიდან ამოვარდა, ამას არ ელოდა... სხვათა შორის, საქართველოში ასეთი რამ პირველად ხდება, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რას მოგვიტანს საპარლამენტო წყობილებაზე გადასვლა. ეს საკითხი დასადგენია. მე მგონია, რომ პირველმა სიჩუმემ მაინც გაიარა და მარგველაშვილი დაიწყებს საგარეო თვალსაზრისით მოძრაობას. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ჩვენ ჯერ ისევ მიშას მიერ გადადგმული ნაბიჯებით დავდივართ, მისი შეთხზულია ეს კონსტიტუცია, მან დაგვიწერა მოძრაობის წესები. ამას დავანებოთ თავი, პარლამენტში „ნაციონალები" რომ არ მოხვედრილიყვნენ, გვექნებოდა ერთპარტიული პარლამენტი. ანუ, რა გამოდის? „ნაცების" არაკანონიერი ქმედებები რომ არა, გამოგვივიდოდა არადემოკრატიული პარლამენტი. ამიტომ უნდა დავფიქრდეთ, დღეს ვისი ნაბიჯებით დავდივართ? ცხონებული სოციალიზმიდან მოყოლებული, სულ ერთპარტიულობა გვჭირს და ჯერაც ვერ გამოვედით ძველი სისტემიდან.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №CONST-1401 ღია კონკურსს K-300-240-3 ЛМЗ ტიპის ტურბინის სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ №2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №CONST-14/03 ღია კონკურსს სხვადასხვა სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1- ელექტროდი სხვადასხვა; ლოტი 2- სხვადასხვა მეტალის მასლა
ლოტი 3- სხვადასხვა სამშენებლო მასალა; ლოტი 4- სხვადასხვა შემამჭიდროებელი ჩობალი
ლოტი 5- სხვადასხვა შემამჭიდროებელი რგოლი; ლოტი 6- სხვადასხვა საღებავი
ლოტი 7- სხვადასხვა ელექტრო საქონელი; ლოტი 8- სხვადასხვა სახარჯი მასალა მექანიკური სამუშაოებისთვის
ლოტი 9- სხვადასხვა ტიპის საკვალთი; ლოტი 10- სხვადასხვა სახის ხელსაწყო

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.
შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი 15 საათი.*

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ექსკლუზივი

# რა სკანდალი მწიფდება ღარიბაშვილის გარშემო?

## იცის ღარიბაშვილმა, თანაშემწედ ვინ „შეუგზავნეს“?

**რასთან გვაქვს საქმე — საკადრო გარღვევასთან თუ გამიზნულ პოლიტიკასთან, როცა პროფესიონალებს „მეორადი მიშისტებით“ ანაცვლებენ?!**

საკადრო პოლიტიკის კრახი, – ასე აფასებენ ექსპერტები „ოცნების“ ხელისუფლების მოღვაწეობას, თუმცა კრიტიკის მიუხედავად, ხელისუფლება არ ცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას. ის რაც მთავარი პროკურორის, ფარცხალაძის დანიშვნის შემთხვევაში მოხდა, როცა ნაყაჩაღარი პიროვნება შემოაპარეს პროკურატურის მთავარი ბრალმდებელის პოსტზე.

ანობას? რომან ჩხენკელი, რომელიც პრემიერ-მინისტრის მრჩეველია ეკონომიკურ საკითხებში, ამავდროულად, შედის პრემიერთან არსებულ უსაფრთხოების საბჭოს შემადგენლობაში. ჩხენკელს ახლადშექმნილ უსაფრთხოების საბჭოში ეკონომიკური საკითხების კურატორობა დაევალა.

რომან ჩხენკელი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ეროვნული აუდიტის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და ბანკ „ქართუს“ გაკოტრების საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულია. 2013 წლის 20 იანვარს რომან ჩხენკელს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის სახით 15 ათასი ლარის გირაო გახდა აუცილებლობა ჩხენკელის უსაფრთხოების საბჭოში ყოფნა, სადაც ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციები იყრის თავს და თუკი ასეთ კადრებზე კეთდება აქცენტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ინფორმაციების ბოლო ადრესატი, „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, რაც ამ ხელისუფლების დასამარებას დააჩქარებს. სცენარი მარტივია, „ციხის სკანდალური კადრებით“ „ნაცმოძი“ დაცემის ვენდეტას საკადრო პოლიტიკის მეშვეობით განახორციელებს. ეცადეთ, დარჩეთ სისტემაში, არა აქვს მნიშვნელობა, რა პოზიციებზე იმუშავებთ, მთავრია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში წვდომა იმურაზ მღებრიშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ძველი თბილისის პროკურორი, რომელიც ჯერ კიდევ არჩილ კბილაშვილის დროს დაინიშნა, პროფესიით ასტრონომია, ეს ხუმრობა არ გეგონოთ, რეალობაა. ინგა ჯაბაშვილის ასტრონომის დიპლომს სოციალურ ქსელში აქვეყნებენ, შესაძლოა, სულ მალე „ასტრონომის“ ახალი განმარტება გამოჩნდეს და გვითხრან, „ასტრონომია“ ძველი ქართული სიტყვაა და იურისტს ნიშნავსო(?!).

28 იანვარს, ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაცია აღარ გაიმართება ივანიშვილო.



გიორგი საბანაძე, ამჟამად პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელია. „გურია ნიუსმა“ გაარკვია, როგორ აღმოჩნდა საბანაძე ივანიშვილის ორბიტაზე. უწყების ხელმძღვანელი, გიორგი კეკელიძე სააგენტოსთან საუბარში აცხადებს, რომ ივანიშვილთან

როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მეტი ყურადღებით გაეგრძელებინათ საკადრო პოლიტიკა და მინიმუმ, მათ მიერ ბრალდებული ადამიანი არ დაენიშნათ საპასუხისმგებლო პოზიციაზე. თუკი ხელისუფლება რეალურად აპირებს, ქვეყნის მშენებლობას, ისე, რომ განტევების ვაცის ძებნას არ გადააყოლოს ქვეყანა, მაშინ ასეთ შეცდომებს ისინი არ უნდა უშვებდნენ. თუ მთავრობა შეეჯახა იმ რეალობას, რომ ხედავს, ქვეყნის მართვა არ შეუძლია და სწორედ ამიტომაც ნიშნავენ დისკრედიტებულ კადრებს, „მეორად მიშისტებს“ და „ნამიშარასტებს“, მაშინ ეს დანაშაულია, რადგან დაუშვებელია, არ იცოდეს ერთმა ხელმა, რას აკეთებს მეორე. სახეზე გვაქვს ახალი სკანდალი, რომელიც პრემიერ-მინისტრის მრჩეველს რომან ჩხენკელს უკავშირდება. მაშ ას, ვინ არის ჩხენკელი და რა უკავშირდება მის საქმიშეუფარდა და პატიმრობას თავი ამ თანხის გადახდით დააღწია. აპრილში ჩხენკელი აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა, მოგვიანებით კი პრემიერ ღარიბაშვილის მრჩეველი გახდა.

ამ ინფორმაციას „ნაციონალების“ ცინიკური პასუხი მოჰყვა – გადახდა უნდა ვალსაო! ახლა როგორაა ეს ამბავი, სააკაშვილის სცენარით მივდივართ და მის კადრებს ვერ ვღალატობთ, ვაღიარებთ რომ „მიშა მაგარია“, თუ რომან ჩხენკელმა დაჟინებული მზერით ჰიპნოზი გაგიკეთათ და მოგნუსხათ? იქნებ აგვიხსნათ, რატომ არის ლტოლვა „მიშარასტებისკენ“, ვინც ხალხისა და თქვენი ქონება მიიტაცა და საქმეები გაგიყალბათ? პრემიერის ოპერატიულობიდან გამომდინარე, ვიმედოვნებთ ამ კითხვაზეც პასუხს მივიღებთ და აგვიხსნიან, ეს ინფორმაცია თუ რეალობაა, რა ხდება და რატომ გქონდეთ, – ასეთია ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული ბრძანება. „ნაცების“ ოცნებებს კი ახალი ხელისუფლება, ნებით თუ უნებლიეთ, ასრულებს.

თვის ბოლოს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე ოფიციალურად გადადგება, მისი გადადგომის შესახებ ბევრი კულუარული ინფორმაცია დაიწერა, მათ შორის პრემიერთან მისი დაპირისპირების შესახებ, კონკრეტული მიზეზები არ დასახელებულა, მაგრამ ორივე მხარემ დაპირისპირება კატეგორიულად უარყო. თუმცა ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილმა უფროსმა, ანზორ ჩუბინიძემ სისტემის მართვა სათანადოდ ვერ შეძლო და საკუთარი სურვილითვე გადადგაო. მის ადგილს დაიკავებს სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორი პოლკოვნიკი თელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ოფიციალური ინფორმაციით, ივანიშვილი გაციებულია, აქვს ვირუსი და მის გამოჯანმრთელებამდე დაანონსებული პრეზენტაცია არ იქნებაო. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ აღმასრულებელ დირექტორად ივანიშვილმა დანიშნა 30 წლის გიორგი საბანაძე, ამ პიროვნების შესახებ კი ძალიან მწირი ინფორმაცია მოიძებნა, თუმცა ჩემს ტელეფონზე არ წყდება აღშფოთებული მოქალაქეების ზარი. აი, რას აცხადებენ და როგორ ახასიათებენ ისინი საბანაძეს: „საბანაძე არის გაქანებული „მიშისტი“, თუმცა არა აგრესიული, ის არის გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილის იდეების მიმდევარი, „ლგბტ“ საზოგადოების მხარდამჭერი. ამას წინათ საერთო მეგობრის წვეულებაზე დაგმო და გააკრიტიკა ხელისუფლება და დაიცვა ივანე მერაბიშვილი, რომელზეც თქვა, რომ ის ამ ხელისუფლების პოლიტიკური პატიმარია და სულ ტყუილად ზის ციხეში, ივანიშვილის პირადი პატიმარია, ხომ ხედავთ, ბრალს ვერ უმტკიცებენო. მივუბრუნდი და ვუთხარი, იქნებ კეზერაშვილის დაკავებაც გააპროტესტოთ და საფრანგეთის ხელისუფლებას ბრალი დასდოთ, რომ კეზერაშვილი საფრანგეთმა პოლიტიკურ პატიმრად აქცია?! რაზეც საბანაძემ პასუხი ვერ გამცა, მე არ მინდა საჯაროდ დავასახელო ჩემი გვარი, თუმცა ამ ეპიზოდს რომ წაიკითხავს საბანაძე, თავად მიხვდება ვინც ვარ, ჩემთვის შოკისმომგვრელია ივანიშვილის გადაწყვეტილება. „ალიას“ მეშვეობით მივმართავ, გადახედოს მის ბიოგრაფიას, გაერკვეს, ვინაა და გადაწყვეტილება ისე მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიიღებს ძალიან ცუდ შედეგებს და სავალალო ფაქტის წინაშე დადგება“. – აცხადებს ჩვენთან საუბარში წყაგამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მოხვდა, მან გაგზავნა „სივი“ და დაიბარეს გასაუბრებაზე, თუმცა კეკელიძე ვერ აკონკრეტებს, როდის და სად გამოცხადდა კონკურსი „სივის“ მიღებაზე, რატომ იყო ასე მკაცრად გასაიდუმლოებული ეს პროცესი? 30 წლის გიორგი საბანაძე პირველადი პროფესიით ჟურნალისტია. ამჟამად კი „ჯიპაში“ საერთაშორისო ურთიერთობებს სწავლობს. ვისი კადრია საბანაძე და როგორ ხდება ამ ჯადოსნური რკალის გარღვევა ზედა ინსტანციებში? ამ კითხვას, იქნებ ჯადოსნური პასუხიც მოაყოლონ. ისე კი, იფრთხილეთ „კუ-კუ დამალობანას“ თამაშის როლში ისე არ შეიჭრათ, „ჭი-ტააა“ დაგიძახოთ! ოქროს შუალედი დაიცავით, ბატონებო, ხალხს არ სძინავს!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ნორლანდი დისკრიმინაციის აღკვეთას ითხოვს




საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ აღკვეთილ იქნას დისკრიმინაციის ცალკეული გამოვლინებები ადამიანების მიმართ, რომლებსაც განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის თვისებები აქვთ ან ატარებენ სხვა განმასხვავებელ ნიშნებს.

„ასევე, ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრი ესტუმრება ისრაელს, ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ყველაფრით ყურადღება ექცევა ამ მნიშვნელოვან მოვლენას. გამოცდილება ცხადყოფს, რომ დისკრიმინაცია ადამიანების მიმართ იწყება მცირედი ნაბიჯებით ცალკეული კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ. მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა ის დიდ ტრაგედიად“, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, სახალხო დამცველი, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. (ინტერპრესნიუსი)

### თეთრაძის საქმეზე გუნავას დაკავებას პოლიტიკური მოტივით ხსნის



ადვოკატ ირმა ჭკადუას განცხადებით, თორნიკე გუნავა, საქმის ერთ-ერთ ეპიზოდზე იყო ბრალდებული და ამ მოტივით დააკავეს. მისივე თქმით, რეალურად ის იმის გამო დააკავეს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, თენგიზ გუნავას ბიძაშვილია.

„თორნიკე გუნავასთან დაკავშირებით განაჩენი აბსოლუტურად უკანონოა. მოსამართლეს გაუჭირდება ამის დასაბუთება, ვინაიდან გუნავას, ჩაკვეტია ზუგდიდში არ დაუჭერია, არ ჩამოუყვანია და თავისუფლება არ აღუკვეთია. გუნავას ჩაკვეტიასთან იგივე შეხება ჰქონდა, რაც დანარჩენ გამართლებულ პირებს. ეს სუფთა პოლიტიკური დაკვეთაა, ვინაიდან, გუნავას დაკავებისთანავე პროკურატურაში ეუბნებოდნენ, რომ ერთი ბიძაშვილი დაუსხლტდათ ხელიდან, მაგრამ მეორე მათ ხელში იყო“, – განაცხადა ჭკადუამ.

მისივე თქმით, გუნავას მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს, რომლის საფუძველზეც, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს, რის შემდეგაც აპირებს, რომ ევროსასამართლოს მიმართოს. მისი თქმით, განაჩენის მიხედვით, პასუხისგებაში მიეცნენ უდანაშაულო პირები, ხოლო თეთრაძის საქმეზე რეალურად დამნაშავეები თანამდებობებზე იმყოფებიან.

„თორნიკე გუნავას დაკავება პოლიტიკური დაკვეთა იყო. თეთრაძის საქმე გაზრდილი ჰქონდათ, თითქოს თავდაცვის სამინისტროს 13 მაღალჩინოსანი ჰყავდათ დაკავებული. თეთრაძის საქმეზე რეალურ დამნაშავეებს ნაცვლიშვილი და ალასანია მფარველობენ და ისინი იმყოფებიან მაღალ თანამდებობებზე“, – განაცხადა ირმა ჭკადუამ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## მიცკევიჩის ქუჩაზე ერთ-ერთი გარდაცვლილის მანქანაში დედის სახელზე დაწერილი წერილი აღმოაჩინეს

ცნობილი გახდა თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრთან მომხდარი შემთხვევის დეტალები. ასევე დადგენილია ორივე გარდაცვლილი მამაკაცის ვინაობა. როგორც ცენტრის თანამშრომლები პირად საუბრებში აცხადებენ, ცენტრის ექიმმა, ზურაბ ბენდელიანმა ცეცხლსასროლი იარაღით მისივე პაციენტი მოკლა. მანამდე კი, პაციენტმა ცენტრის შენობაში, იმ ოთახში, სადაც ექიმი ბენდელიანი იმყოფებოდა, ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდო. არსებული ინფორმაციით, ექიმმა პაციენტისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა მოასწრო, თუმცა ოთახში გაჩენილ ხანძარს თავი ვერ დააღწია და დაიწვა.

შემთხვევა მიცკევიჩის ქუჩის №29 „ა" ნომერში მოხდა. გარდაცვლილები შენობაში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად მისულმა მეხანძრეებმა აღმოაჩინეს. ცენტრის პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს. მეორე მამაკაცის ცხედარი კი შენობასთან ახლოს ნახეს, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა.

ერთ-ერთი გარდაცვლილის მანქანაში დედის სახელზე დაწერილი წერილი აღმოაჩინეს. წერილი ნაპოვნია პაციენტის მანქანაში, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნულ ცენტრში მკურნალობდა. „ტკივილს ველარ ვუძლებ და ბოლო უნდა მოვუღო ყველაფერს", – ნათქვამია წერილში.

მომხდართან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. ცნობილია, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილი არის დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის ექიმი, ცნობილი დერმატო-ვენეროლოგი, პროფესორი ზურაბ ბენდელიანი.

მიცკევიჩის ქუჩაზე გარდაცვლილი მამაკაცების გვამები პროზექტურაში უკვე გადაასვენეს, სადაც მათ ცხედრებს ექსპერტიზა ჩაუტარდება. სამართალდამცველები კომენტარისგან თავს იკავებენ. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი



# რა აუკრძალეს ამერიკელებმა სააკაშვილს?

გენერალმა ირაკლი ოქრუაშვილმა დააანონსებული და ჩავარდნილი მრისხანების დღე ადგილობრივ არჩევნებში გაიმეოროს, თუმცა მისი გარემოცვა კატეგორიულად ემიჯნება იმ აზრს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ჩაებმება ადგილობრივ არჩევნებში, რადგან მათი ლიდერის ამბიციებისთვის მერის პოსტი ეპატარავებათ, თუმცა არც ოქრუაშვილის შემთხვევაშია გამორიცხული პოლიტიკური გააქტიურება. თუკი ეს ასე მოხდება, „ოცნებას" მოუწევს საკუთარი კანდიდატურის გადასინჯვა და ნარმანიას უფრო წონადი ფიგურით ჩანაცვლება. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას", როგორც ყოველთვის, ისინი ბოლო მომენტისთვის იტოვებენ კანდიდატურის დასახელებას, მაგრამ სულ რომ დიმიტრი გელოვანი გააცოცხლონ, ისინი თბილისს ვეღარ აიღებენ. ლეგენდა „ნაცმოძრაობის" მონოლითურობის შესახებ იმსხვრევა, ყოველდღიურად ჟონავს ინფორმაციები მათი შიდა დაპირისპირების შესახებ. მიხეილ სააკაშვილის გაქცევის შემდეგ „ნაცმოძრაობაში" გაჩენილი ბზარი

ვრცელდება ინფორმაციები, რომ შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძემ თბილისის მერის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ის იმყოფებოდა ლონდონში ბადრი პატარკაციშვილის ქვრივთან, არ არის გამორიცხული, რომ ეს ვიზიტი წინასაარჩევნო სამზადისს ემსახურებოდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ვალერი გელბახიანმა არ გამორიცხა, რომ ინა გუდავაძე-პატარკაციშვილი პოლიტიკურ პროცესებში ჩართულიყო და მისი მეუღლის დაწყებული საქმიანობა გაეგრძელებინა, რაც ჩვენთან საუბარში პატარკაციშვილის დედამ, ქალბატონმა ნათელამ კატეგორიულად უარყო და თქვა, რომ მისი ოჯახი მხარს უჭერდა ბიძინა ივანიშვილს. თუმცა მას შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, თავად ბიძინა ივანიშვილი გადავიდა სამოქალაქო სექტორში. ამ ფონზე რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ პატარკაციშვილის ოჯახმა, თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც დააპიროს პოლიტიკაში შემოსვლა და როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად მხარი დაუჭიროს ლევან გაჩეჩილაძის მერის პოსტზე არჩევას?

ძმები გაჩეჩილაძეები, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილთან ნათესაურ კავშირში არიან, კონკრეტულად ნათელმირონობა აკავშირებთ, გარკვეული პერიოდი ჩრდილში გადგნენ, თუმცა, როგორც ინფორმაციები ჟონავს, ისინი დიდი ხნით გაჩუმებას არ აპირებენ. ლევან გაჩეჩილაძეს, რომელმაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სააკაშვილს თბილისი პირწმინდად მოუგო, ეძლევა შანსი, კიდევ ერთხელ გამოსცადოს თბილისელების ნდობა ადგილობრივ არჩევნებში. მართალია, დროც და შეხედულებებიც შეიცვალა და ბევრი მიიჩნევს, რომ გაჩეჩილაძის მატარებელმა ჩაიარა, მაგრამ ამომრჩევლის ნდობის მანდატს გაჩეჩილაძე კიდევ ერთხელ გადასინჯავს და თბილისელების რეალურ განწყობას ამ გზით შეიტყობს.

ასევე, არ არის გამორიცხული, საომარი რიტორიკის უკუქცევად სახეს იძენს. კონკრეტული ლიდერები თვლიან, რომ არ შეიძლება სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვნენ და ისინი აპირებენ, გააგრძელონ პოლიტიკური გზით სიარული სააკაშვილის გარეშე, ემიჯნებიან ვანო მერაბიშვილს, კეზერაშვილს, იმ დამნაშავე ფიგურანტებს, ვინც რეჟიმის მსხვრევა განაპირობა და ამბობენ, ვისაც სააკაშვილმა მილიარდები გაშოვნინათ, კეთილი ინებეთ და სააკაშვილი დაიცავით, ჩვენ რა ხეირი, ისეთ დონეზე მიგვიყვანა, სირცხვილით ქუჩაში ველარ გამოვდივართო...

**რა ხდება „ნაცმოძრაობაში"? „ალიას" კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე ესაუბრება:**

- ჩემი ინფორმაციით, ამერიკელმა მეგობრებმა სააკაშვილს სთხოვეს, ძალიან ნუ იაქტიურებს, ფაქტობრივად, ის შინაპატიმრობაშია, კონკრეტულად კი აუკრძალეს უკრაინაში ჩასვლა. მას ულტიმატუმი წაუყენეს, ან შეწყვეტს აქტიურ მოქმედებას, ან არადა ისინი მას ვერ დაიცავენ. რა თქმა უნდა, მას ჰყავს დაცვა, მაგრამ ჩემთვის ცნობილი არ არის, ქართველები იცავენ თუ ამერიკელები, რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას", ოპტიმისტური განწყობაა, რადგან „ოცნება" შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მათ შორის ის, რომ ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა დიპლომატიური ენით, მაგრამ ძალიან მკვეთრად თქვეს, რომ ვერ მიიღეს პასუხები ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის შესახებ, ასევე ვერ მიიღეს პასუხი, ინახება თუ არა ციხეში ვიდეოკადრები. ეს ნიშნავს, რომ მათ არ სჯერათ ხელისუფლების ახსნა-განმარტებისა და ფიქრობენ, რომ მერაბიშვილი ციხიდან გაყვანილია. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ აღმოჩნდა კომუნიკაბელური, რათა არ გაკეთებულიყო მსგავსი ტიპის განცხადება და მიეწოდებინათ მათთვის დამაჯერებელი ინფორმაცია. ხელისუფლებამ აჩუქა სადისტური რეჟიმის შემოქმედთ პოლიტიკურად დევნილის იმიჯი. ეს ტენდენცია გადავა სხვებზეც, ამ ყველაფერს ემატება ლარის კურსის ვარდნა, ეკონომიკური კრიზისი, შესაბამისად, „ნაციონალებს" აქვთ იმედი, რომ ასეთი ტენდენციის ფონზე დავარდება „ოცნების" რეიტინგი და მათ მიეცემათ შანსი ამა თუ იმ ფორმით დაბრუნებისა.

აქვე გეტყვით, რომ „ნაცმოძრაობა" ორად არის გაყოფილი, ეს არის ბოკერიას გუნდი, რომელიც არ აპირებს კურსიდან გადახვევას, ხოლო მეორე გუნდი, სადაც მიშა მაჭავარიანი და გიორგი ვაშაძე მოიაზრებიან, დაინტერესებულია, ისე ჩამოეცალოს სააკაშვილს, რომ მოღალატის სახელი არ დაერქვას. მეტ-ნაკლებად ყველამ იხეირა, სააკაშვილი ხშირად ხმარობდა ტერმინს, - ყველა კარგად მყავს მიხედილიო. დიახ, მას ყველა ნამდვილად მიხედილი ჰყავდა, მეტ-ნაკლებად შეიძლება ყველა მილიარდს ვერ აკეთებდა, მაგრამ ასობით ათასები მისდიოდათ, მის გარემოცვას აგებინებდა ტენდერებს. როგორც კი სააკაშვილი ჩამოსცილდა, ჩვენ ვნახეთ, რა დაემართა ბაქრაძის სიმამრს, სააკაშვილის დროს მოგებული ტენდერების რეალიზებას ვეღარ ახერხებს. ხელისუფლებამ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დამაჯერებელი შედეგი დადოს, „ნაციონალების" შიდა განხეთქილება სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი არ ფიქრობენ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. ასე რომ, უკვე დროა, გავიდნენ რეგიონებში და გადასინჯონ თავისი ძალები და საკუთარი თვალით ნახონ, რა პრობლემების წინაშე დგანან ადამიანები, ნუ შემოიფარგლებიან მხოლოდ თბილისით. რეგიონებში „ნაციონალები" აქტიურად მუშაობენ და ფრონტის ხაზი აქვთ გახსნილი.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „წმინდა ნინო არის უდიდესი მადლი..."




სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, წმინდა ნინოს ხსენების დღეს პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა. პატრიარქის თქმით, წმინდა ნინო არამარტო ისტორიული პიროვნებაა, ის დღესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობს და გვეხმარება. როგორც წმინდა ნინოს ლოცვებით უფალმა შემუსრა კერპები, ასევე ისურვა, რომ შემუსროს ყოველი არაწმინდა, რაც არსებობს საქართველოში.

„წმინდა ნინო არის უდიდესი მადლი, საუნჯე, რომელიც უფალმა მოიღო საქართველოზე. ნათქვამია, სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენი. უნდა ვეცადოთ იმას, რომ არ დავკარგოთ სულიერი საუნჯე, გავუფრთხილდეთ ჩვენს სულიერ საუნჯეს. ქართველი მეფეები, როდესაც უცხოეთში მიდიოდნენ, არა ოქრო-ვერცხლი, არამედ სიწმინდეები ჩამოჰქონდათ. საქართველო მდიდარია ამ სიწმინდეებით და ეს სიწმინდეები დღესაც იმ საქმეს აკეთებენ. უფალმა შეისმინოს ყოველი ადამიანის ლოცვა, რაც გააჩნია მას, რა მწუხარება და განსაცდელიც აქვს ხალხს, უფალმა სიხარულით შეცვალოს. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ უფალმა", – ბრძანა პატრიარქმა.

ტაძარში გამობრძანებული იყო წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი. (ინტერპრესნიუსი)

## სოციალურად დაუცველები ნაძალადევის გამგეობას ადანაშაულებენ

ე.წ ზღვის უბნის დასახლებაში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა პირებმა სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, ნაძალადევის გამგეობა მათი საცხოვრებელი სახლების პრივატიზაციას ახორციელებს, რის გამოც გამოსახლება ემუქრებათ.

„საუბარია 4 კორპუსსა და დაახლოებით 110-მდე ოჯახზე. ჩვენ ამ ბინებში უკვე 10 წელია, ვცხოვრობთ. ჩავიბარეთ ცარიელი კარკასი და გავარემონტეთ, შევიყვანეთ გაზი, წყალი, ელექტროენერგია, რისი უფლებაც ეკონომიკის სამინისტრომ მოგვცა, ახლა კი ჩვენს ბინებს ყიდიან და ახალ მობინადრეებთან ხელშეკრულებებს აფორმებენ ისე, რომ მათში ვცხოვრობთ", – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

„მივმართავთ მთავრობას და პრემიერ-მინისტრს, დაინტერესდეს ამ საკითხით და არ დაუშვას ჩვენი ქუჩაში დატოვება", – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს თურქეთის პრეზიდენტი ეწვევა




საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის განცხადებით, უახლოეს პერიოდში საქართველოს თურქეთის პრეზიდენტი ეწვევა.

„გამოითქვა მზაობა თურქული მხრიდან, რომ გამომდინარე აქტუალურობიდან, რაც არსებობს ზოგადად რეგიონში, საქართველოს მხარდაჭერის თვალსაზრისით, უახლოეს პერიოდში თურქეთის პრეზიდენტი ეწვევა საქართველოს. გამოითქვა ასევე ინციატივა, რომ მომზადდეს წინაპირობა გარკვეულწილად სამმხრივი ინიციატივების, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ერთობლივი პროექტების შემუშავების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო თუ სხვა. პრემიერმა ერდოღანმა ასევე გამოთქვა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და მზადყოფნა, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც საქართველოს ექნება ამის სურვილი, ის განიხილავს საქართველოში ჩამოსვლის საკითხს და მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავებას", – განაცხადა მაჭავარიანმა. (ინტერპრესნიუსი)

# კულუარები



მოკლედ, დიდი ამბები ყოფილა საახალწლოდ სამთავრობო და საპარლამენტო კულუარებში... ვინაიდან ჩვენ ქართველები ვართ, ვინაიდან ჩვენ ევროპელობამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია და ვინაიდან მაინც მამაპაპურს „ვაწვებით“, რეგიონებიდან ისეთი „ძღვენების“ ნაკადი წამოსულა დედაქალაქისკენ, თქვენი მოწონებული – გოჭები, ინდაურები, ღვინო, ცივად მოხარშული დედლები, ხილი და ასე შემდეგ. ვინც დღეს რეგიონში თანამდებობაზეა, ვისაც დღეს რეგიონში თანამდებობა უნდა, თურმე, ყველამ გაიკრა ჯიბეზე ხელი და ყველა გაისარჯა თავისი მომავალი კეთილდღეობისთვის. მაგალითად, როგორც ინგა ქარდავა მწერს სენაკიდან (არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელი), გოჩა ჯიშკარიანს, გუბერნატორის მოადგილის თანამდებობის მიღების მიზნით, თბილისში თანამდებობის პირებისთვის 27 გოჭი გაუგზავნია. ქარდავა ამბობს, ეს ამ ადამიანისთვის ჩვეული მეთოდია, მთელი ცხოვრება გოჭებსა და სულგუნის თავებს დაარბენინებს, ამისთვის ბევრჯერ გამოაპანღურესო. წარმოგიდგენიათ? ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე არც ერთი გოჭი არ დაბრუნებულა სამეგრელოში, ანუ ჯიშკარიანი და სხვები არავის გაუპანღურებია თბილისიდან. მე ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ დიდი რაოდენობით ღვინო ჩამოვიდა კახეთიდან... აღარაფერს ვამბობ ინდაურებზე. როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს „ალიასთან“ საუბარში, პარლამენტის წევრებს „მომწოდებლებისთვის“ მხოლოდ თავიანთი ბინების მისამართები უნდა მიეცათ, დანარჩენი უკვე „ტექნიკის“ საქმე იყო. თუ წინა წლებში მსგავსი რიგები „ნაციონალების“ სახლებთან იდგა, ახლა ანალოგიური რიგები კოალიციის წევრების სახლებთან დამდგარა. სხვათა შორის, „მომწოდებელთა“ რაოდენობა უფრო გაზრდილა. დღეს ყველა „ვაზელინიანი“ ელოდება ადგილობრივ არჩევნებს... ვაზი, თოხი და გუთანი არავის აინტერესებს, ფული საჯარო სამსახურებშია და მილიონების შოვნაც იქ შეიძლება. საკრებულოს წევრობა, გამგებლობა, მოადგილეობა, – ეს იმას ნიშნავს, რომ, სულ მცირე, 5-წლიანი კეთილდღეობა გარანტირებული გაქვს. მოკლედ, საახალწლოდ ბევრმა წაიგდო საქმე წინ, ბევრმა მონახა თავშესაფარი და ახლა მართლა ტექნიკური საკითხებიღაა გადასაწყვეტი.



# ვინ უთვალთვალებს ეკა ბესელიას მამას?

**როგორც ინგა ქარდავა ამბობს, „ნაციონალები“ დიდი მონდომებით ემზადებიან არჩევნებისთვის:**

„მადა გაეხსნათ... აქამდე სოროებში იმალებოდნენ. სუს-ის (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. – გ.ზ.) თანამშრომლები დღისით-მზისით კამერით ხელში დასდევენ მათთვის მიუღებელ ხალხს. სამი დღის წინ საკუთარი თვალით ვნახე, სენაკის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეოკამერით „შკოდას“ ფირმის მანქანიდან პარლამენტარ ეკა ბესელიას მამაზე ხდებოდა ფარული გადაღება. ამას „ნაცებიც“ ვერ ბედავდნენ ბოლო პერიოდში. ამას აკეთებდა სენაკის სუს-ის თანამშრომელი, გელა ბაღათურია. სენაკის გამგებელი, გოჩა დგებუაძე ვარდენას ღორივით გასუქდა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ და აღარაფერი აინტერესებს. სამეგრელოში პოლიტიკურად უკუსვლაა. მედროვე და „გაოცნებისტებულმა“ „ნაცებმა“ მთლად ალვირი აიხსნეს. გამგებელი პარლამენტარ მისაბიშვილის დავალებით გარიგებებს აწარმოებს სოფლის თემების გამგებლებთან, მათ განცხადებებს აწერინებენ წასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ მოადგილეებად ტოვებენ. არ ვიცი, რომელ ქვეყანაში ხდება ეს ყველაფერი, თუ კაცი გამგებლად უვარგისი იყო, ის მოადგილედ როგორ ივარგებს? მისაბიშვილი აცხადებს, სენაკი მე ჩამაბარესო. საინტერესოა, ვინ ჩააბარა? არ ვიცი, „ოცნებას“ რისი იმედი აქვს, ადგილობრივ არჩევნებში ძალიან გაუჭირდება“.

აი, ეს არის ერთი მაგალითი, მაგრამ ყველგან იგივე ხდება – იმერეთშიც, სვანეთშიც, რაჭაშიც, ქვემო ქართლშიც, სამცხე-ჯავახეთშიც... გაიგეთ, რომ „ნაციონალები“ რევანშის აღებას აპირებენ, რეგიონებში ნელნელა იპყრობენ ყველა სტრუქტურას, საჭიროა კოალიციის დეპუტატების გააქტიურება. არ შეიძლება, გუბაზ სანიკიძეს მთელი ქუთაისი ეძებდეს და ვერ პოულობდეს... არ შეიძლება, ზვიად ძიძიგურს მთელი რუსთავი დასდევდეს და ვერ ნახულობდეს. ვინ არიან ესენი, რა უბედურება სჭირთ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ხომ სულ სხვანაირები იყვნენ?! ვრცელდება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, თურმე ჩვენი დეპუტატების უმეტესობა დეკლარაციას არ ავსებს სწორად, ანუ ქონების რაღაც ნაწილს მალავს. მაგალითად, „ნაციონალი“ ლევან ქარდავა, წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი არ აღიარებს, რომ შპს „მ.დ. ჯგუფის“ გარდა, შპს „მაგანა-2004“-ისა და შპს „გრუპო ვიას“ მესაკუთრეა. მას ასევე ეკუთვნის შპს „საქართველოს ინოვაციური ნანოტექნოლოგიების“ 25-პროცენტიანი წილი; რევაზ შავლოხაშვილი (წალკის მაჟორიტარი დეპუტატი, „ქართული ოცნება – კონსერვატორები“). ეს ადამიანი პარლამენტში „ნაციონალების“ მეცადინეობით მოხვდა, მაგრამ მერე „გაოცნებისტდა“. ის შპს „საბა 2005-ის“ 50-პროცენტიან წილს ფლობს რის შესახებაც ქონებრივ დეკლარაციაში არაფერი ჩაწერა; თამაზ ყაჭეიშვილი („ქართული ოცნება“) – წილებს ფლობდა ორ კომპანიაში – შპს „ნუგოში“ და შპს „სამეგობროში“. დეპუტატს არ უხსენებია, ასევე, მისი 25-პროცენტიანი წილის შესახებ შპს „ხარისხში“; ირინე იმერლიშვილი („ქართული ოცნება“, ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივანი) – შპს „მიშოს“ 70-პროცენტიანი წილის მფლობელი.

ანი მიროტაძე („ქართული ოცნება“ – „ეროვნული ფორუმი“) – შპს „პი არ ჯგუფის“ 50-პროცენტიანი წილის მფლობელი; თამაზ შიოშვილი („ქართული ოცნება“) – შპს „სპენიშქლეის“ 35-პროცენტიანი და შპს „მემორექსის“ 30-პროცენტიანი წილის მფლობელი; გიგა ბუკია („ქართული ოცნება“) – მისი შვილი, გიორგი ბუკია, შპს „იუ-სი-ემ“-ის 50-პროცენტიანი მეწილეა, რის შესახებაც დეპუტატის 2013 წლის დეკემბრის ქონებრივ დეკლარაციაში ჩანაწერი არ მოიძებნება; გოგი ლიპარტელიანი (ლენტეხის მაჟორიტარი, „ნაციონალური მოძრაობა“) – შპს „ბიოსფერო +“-ის 20-პროცენტიანი წილის მფლობელი. ასევე, მისია შპს „სპეროზა“, შპს „გამა+“, შპს „გამა“, შპს „ტრანს-გაზი“, შპს „ევროსტილ XXI“; თამაზ ავდალიანი („ქართული ოცნება“) – შპს „ასკო ლტდ“-ისა და შპს „გეოჰოლიდეიტურის“ 50-პროცენტიანი მფლობელი; ვიქტორ ჯაფარიძე („ქართული ოცნება“) – შპს „სეტის“ 50-პროცენტიანი თანამფლობელი. ასევე, შპს „ქცია-94“-ის მეწილე.

აჰა, ხალხო, ჩვენ რომ გვგონია, ამათ ერთი ადგილი უხმებათ და მხოლოდ ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ხელფასებისა თუ პრემიების იმედზე არიან, მთლად ასეც არ არის, ესენი ათასნაირ წილებს ფლობენ ათასნაირ შპს-ებში და თან საგულდაგულოდ მალავენ. მე პირადად კატეგორიულად ვითხოვ, პასუხი აგონ ამ დანაშაულზე. მოკლედ, ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება, რა ევროკავშირი, რომელი ნატო?!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანია მანქანებს აღარ ყიდულობს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საკუთარი ავტოპარკიდან მანქანების გაყიდვას ამ ეტაპზე არ აპირებს.

როგორც მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, ავტომობილების ის რაოდენობა, რაც უწყებას ჰყავს, მისი საქმიანობისთვის საჭიროა. ნარმანიას განმარტებით, ყველა მათგანი ახალ წესსა და რეგულაციას აკმაყოფილებს.

„ჩვენს სამინისტროს ახალი ავტომობილების შეძენის საჭიროება ამ ეტაპზე არ აქვთ, არც გაყიდვა არ მოგვიწევს, თუმცა სამომავლოდ, რა თქმა უნდა, მოხდება ოპერატიული და სამსახურებრივი დანიშნულების მანქანების შეძენა, რაც, იგივე წყალმომარაგების კომპანიას, მუნიციპალური განვითარების ფონდს სჭირდება და ეს შესყიდვები ახალი წესის მიხედვით განხორციელდება“, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე შეფასებით, ავტომანქანების შესყიდვის ახალი წესის შემოღება კარგი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ავტოპარკისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ხარჯები რაციონალურად იქნას მიმართული და მეორე მხრივ, შემსყიდველ უწყებებს ექნებათ ჩარჩო დოკუმენტი, რომლითაც ისინი საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვებს განახორციელებენ.

„ამით თავიდან იქნება აცილებული ის უხერხულობები, რაც რიგ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციებს ედგათ“, – დასძინა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №CONST-14/04 ღია კონკურსს სადგურის ადმინისტრაციული კორპუსისა და მთავარი კორპუსის რემონტთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

**წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი 15 საათი.**

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №INVO-14/02 წინადადებების ღია გამოკითხვას ავტოტრანსპორტის დაზღვევასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

**წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 11 თებერვალი 15 საათი.**

## ომბუდსმენს პატიმრობის კოდექსის ცვლილებები აშფოთებს

საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის შეფასებით, „პატიმრობის კოდექსში“ საკმაოდ კარგი ცვლილებები შედის, თუმცა, მისივე მოსაზრებით, რამდენიმე მომენტი შეშფოთებას იწვევს.

„ზოგადად, კანონში შედის საკმაოდ კარგი ცვლილებები. რაც შეეხება რამდენიმე მომენტს, ეს საკითხი იწვევს შეშფოთებას, თუნდაც იგივე წიწაკის გაზის გამოყენება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია არის განსხვავებული სამინისტროსგან. მიგვაჩნია, რომ უფრო მეტად სამინისტრომ უნდა დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ნამდვილად არის აუცილებლობა მსგავსი მეთოდების გამოყენების. სპეცსაშუალებების გამოყენება ზოგადად უნდა მოხდეს, მაგრამ რამდენად არის აუცილებელი, თუნდაც წიწაკის გაზის გამოყენება, თუნდაც ზოგადად გაზის გამოყენება, ისევე როგორც არალეტალური იარაღი, ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი ზუსტი, კონკრეტული ჩანაწერი უნდა არსებობდეს კანონში“, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

საპატიმრო დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე ახალი სპეციალური საშუალების გამოყენება ხდება დასაშვები. სადღეისოდ ბრალდებულისა თუ მსჯავრდადებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა თუ ქონების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მის მიმართ ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება არის დასაშვები. პარლამენტს წარედგინა „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომლის მიხედვით, ხელბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გარდა, პატიმრის მიმართ დასაშვები ხდება, ისეთი ტიპის სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი და სასამსახურო ძაღლი.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოამზადა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი



# რას ჰყვება ბადაშვილზე ექს-პროკურორი ნოზაძე?

**„ალიას“ ყოფილი პროკურორ გიორგი ნოზაძე ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, თქვენ მუშაობდით გიორგი ბადაშვილთან, რომელიც ახლა მთავარი პროკურორია, როგორი ადამიანია?**

– გიორგი ბადაშვილი არის ფარცხალაძის კადრი, მისი მოყვანილი, მისი იდეების გამგრძელებელი და სავარაუდოდ, მისივე დანიშნული მაგ თანამდებობაზე. ვინაიდან იმ წრეს არ უნდა გასცდენოდნენ, იმ წრეში ფარცხალაძის საქმის გამგრძელებელი იყო ბადაშვილი. საქმის გამგრძელებელი ცუდი გაგებით, თორემ კარგი გაგებით რომ იყოს, რა უჭირს. მასთან კი ვიმუშავე, მაგრამ ერთი საქმე არ მოუკითხავს არასდროს. ყველაზე მთავარი, რაც უნდა გაეკეთებინა იმ კაცს, საქმეების მოკითხვა იყო. რეზონანსული საქმეები რომ მებარა და ყოველდღე ველოდებოდი ან ახლა გამომიძახებს ან ახლამეთქი, კაციშვილს არ დაუსვამს კითხვა ჩემს საქმეებთან დაკავშირებით, რა გამოძიება მიმდინარეობდა, რას ვაკეთებდი, რას ვიძიებდი.

**— ამბობენ, რომ ქართული პროკურატურა ფინანსური პოლიციის დანამატად იქცა. რატომ ხდება ეს და არის თუ არა იმედი, რომ გახმაურებული საქმეები დაიძვრება?**

– ეგ როგორ მოხდება? იმ დროს, როცა ქონებრივი წართმევები იყო, მარტო 9200 ჩუქების განცხადებაა დარეგისტრირებული, ეს ზუსტი სტატისტიკა არაა, მეტი იქნება. ერთი იმდენი უგანცხადებოდ იქნება წართმეული. ეს მთავრობა კი მოვიდა იმ მიზნით, რომ დაეწყო სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ თუკი სამართლიანობას აღადგენდი, ეს ქონება ხომ უნდა დაგებრუნებინა მეპატრონეებისთვის, ამის რესურსი კი უკვე ბიუჯეტს აღარ აქვს. ეს ქონება „ნაციონალების“ ჯიბეში წავიდა და რატომ უნდა გადაიხადოს მათი ნაყაჩაღარი ამ მთავრობამ? არ გადაიხადეს და ამიტომაც კოჰაბიტაცია დაერქვა. თუკი ჩვენ, ოქტომბრის მერე მოსულები, გამოვიძიებდით ამ საქმეებს, მაშინ ჩვენ იდეალურად დავადგენდით სიმართლეს და სახელმწიფო იძულებული იქნებოდა, ეს თანხა გადაეხადა. ამიტომ ამ საქმეების კარგი მეპატრონე გახდა ფინანსური პოლიციის ხალხი, რომლებიც გამოძიებას არც მიიყვანენ ლოგიკურ დასასრულამდე და არც სახელმწიფოს მოუწევს ფულის გადახდა.

**— „ალიასთან“ პირველი საუბრისას განაცხადეთ, რომ თქვენ მიერ გამოძიებული საქმეების ქსეროასლები შეინახეთ. რა გადაწყვიტეთ, მათ გამოქვეყნებას ხომ არ აპირებთ?**

– არა, რადგან საიდუმლო დოკუმენტებს წარმოადგენენ. ისინი მე მაქვს საკუთარი უსაფრთხოებისთვის, ხვალ რომ ვინმემ რამე მითხრას, ამ საქმეში ეს ასე არ იყოო, მექნება თავდაცვის იარაღი, თორემ მე მათი გამოქვეყნების უფლება არ მაქვს, რადგან ამ საქმეებზე გამოძიება ისევ მიმდინარეობს, თუმცა ამას რა გამოძიება ჰქვია, არ ვიცი.

**— თქვენ როგორ იცით, კბილაშვილი ცდილობდა სამართლიანობის აღდგენას და ვილაცებმა ჩააჩოჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ ადეიშვილის კადრები ყოფილიყო შენარჩუნებული?**

– როცა მე მიმიყვანეს პროკურატურაში, მხოლოდ თვე-ნახევარი ვიმუშავე თავდაუზოგავად, ღამის 4 საათამდე წელისწყვეტამდე ვმუშაობდით. მოვიდა თუ არა ნაცვლიშვილი, ყველაფერი გაჩერდა, დაიბლოკა. შიგნით ზემო ეშელონებში რა ხდებოდა, მე არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საგამოძიებლოდან მოდიოდა დირექტივა, რომ უნდა „დაგვეზადნა“, გავჩერებულიყავით, ესა თუ ის პირი არ უნდა დაგვეკითხა და ასე სტაგნაციამდე მივიდა ყველა საქმე. დაწყობილი გვქონდა საქმეები სეიფში და ხელს ველარ ვკიდებდით, რადგან პოლიტიკური ნება არ იყო. ახლაც იგივე გრძელდება და უარესი მოხდება კიდევ ახალი პროკურორის პირობებში.

**— შეიძლება ბადაშვილმა წამოწიოს წინ ეს საქმეები, რამდენად უნარიანი პროკურორი შეიძლება იყოს?**

– როგორ შეიძლება ბადაშვილმა წინ წამოსწიოს ეს საქმეები, როცა ეს იგივე გუნდია. ხალხი ფინანსური პოლიციის უკანონო საქმეების გამოძიებას ელოდება, ესაა მათთვის სამართლიანობის აღდგენა, იმედი აქვთ, რომ უკანონოდ წართმეულ ქონებას დაიბრუნებენ. ბადაშვილი კი ზუსტად იმ განყოფილებაში მუშაობდა, რომელშიც ეს წართმევები ხდებოდა.

**— ბატონო გიორგი, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის „ნაციონალი“ ვინმე ჩუბინიძე, რომელზეც მითხრეს, რომ კანცელარიიდან დოკუმენტებს იპარავს. ამის შესახებ პრესსამსახურის უფროსს თემურ დოლიძესაც ვესაუბრე. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ხდებოდა მსგავსი რამე?**

– როცა მე ვმუშაობდი, ელექტრონული წარმოება გვქონდა. დაიკითხებოდა თუ არა ვინმე, უნდა აგეტვირთა ელექტრონულ წარმოებაში, იქიდან გადიოდა ინფორმაცია, რასაც პირადად ვატყობდი, რადგან რამდენჯერმე განმიმეორდა ფაქტი, როცა ადვოკატი, რომელიც სამი კვირაა არ მოსულა ჩემთან და არც დაურეკავს, გუშინ კაცი დავკითხე, რამდენიმე საათში კი ადვოკატი მირეკავს, გამაცანი მასალაო. კი აქვს მას ამის უფლება, მაგრამ რაღა ზუსტად იმ მომენტში ხდება, როცა ეს მოვიპოვე. ასე განმეორდა ორჯერ-სამჯერ. მე ამის შესახებ საგამოძიებოს უფროსს და თვითონ ფინანსურსაც ვუთხარი. ისიც ვუთხარი, რომ ელექტრონულზე აღარ ავტვირთავდი ინფორმაციას, რადგან ყველა სახის ინფორმაცია გადიოდა გარეთ, მერე იქიდან კარნახობდნენ შიგნით და საქმეები იბლოკებოდა. ტყუილად ელოდებით, რომ კოჰაბიტაცია დამთავრდება. ან როგორ დამთავრდება, სანამ იგივე კადრები იქნებიან პროკურატურაში?

**— როცა პროკურატურის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ვკითხე, რატომ არ უშვებენ ადეიშვილის კადრებს სამსახურიდან, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ხელს უშლიან-მეთქი, მიპასუხა, რას მეუბნები, 10 წელი ვინც სისტემაში მუშაობდა, ის არ არის პროფესიონალი და ის არის, ვინც 10 წელი სახლში იჯდაო?! ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალებს „აპრავებენ“?**

– კბილაშვილმა მოგვაგროვა პროფესიონალები, რომლებიც ძალიან მალე მივედით იქამდე, რომ შევაწუხეთ ვილაცების ინტერესები და მიხვდა, რომ ჩვენი იქ ყოფნით უკვე კოჰაბიტაცია სრულდებოდა, ამიტომაც „მიიღეს ზომები“ და ყველა პროფესიონალი, რომელიც მიიყვანეს, უკან გამოგვყარეს, მათთვის მყუდროება რომ არ დაგვერღვია.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №INVO-14/01 ფასთა ღია გამოკითხვას სადგურის პერსონალისთვის სპეც ტანსაცმლის შეძენასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 11 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა აცხადებს №CONST-14/02 ღია კონკურსს სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1-ავტომატიკისა და საკონტროლო გამზომი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები;

ლოტი 2-სხვადასხვა ტიპის ტუმბოს საკისრები

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი 15 საათი.*



# ალიაქოთი

იმის მიუხედავად, რომ გუშინ ბევრი საინტერესო რამ მოხდა, ქალაქში მაინც ბენზინის გაძვირებაზე საუბრობდნენ. მოგეხსენებათ, თბილისი ავტომობილებით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ქალაქია და ბენზინის გაძვირება მანქანის მფლობელების ჯიბეზე ყოველდღიურად საკონტროლო დარტყმებს ახორციელებს. ჰოდა, ლოგიკურიც იყო, ბენზინის გაძვირებასთან დაკავშირებით კითხვა კახა კალაძეს რომ დაუსვეს, მაგრამ ენერგეტიკის მინისტრმა ხელები გაშალა – სახელმწიფო ამ საქმეში ვერ ჩაერევა, ფასი ბაზარმა უნდა დაარეგულიროსო. არადა, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, დღევანდელი მთავრობის წევრები გვიმტკიცებდნენ, საწვავიდან ერთი ლარი „ნაციონალების“ ჯიბეში მიდისო და ახლა ორი ვარიანტია, ან ჯიბე შეიცვალა, ან უბრალოდ გვატყუებდნენ და ხმამაღლა ამას არავინ ამბობს.

მძიმე დღეები უდგას სოზარ სუბარს. მისი ფიტული ჰაერში რომ გაუშვეს და სამინისტროს კართან ინდაური მიუბრძანეს, კი გეცოდინებათ, თუმცა სუბრის უწყება კრიტიკის ობიექტი ახლა ახალი კანონპროექტის გამო გახდა. ცნობისთვის, გუშინ საქართველოში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნა და შეგახსენებთ, რომ ჰიტლერის რეჟიმმა მილრამდენჯერაც ვირმა რომელიმე საშაურმესთან ჩაიარა, ისეთი ყროყინი ატეხა, გეგონება, მოძმეს ტირისო. თანაც, მერე ისიც გაირკვა, ვირების ნაკლებობას არც ისე რომ უჩიოდნენ და ამიტომაც არჩევანი ცხენზე გაკეთდა. იმასაც გეტყვით, რომ პატიმრების დასაშოშმინებლად სპეციალური დასაბმელი ლოგინები და სკამები შემოდის და მოკლედ, მსოფლიო ცივილიზაციას რაც კი მოუგონია, თურმე ყველაფერი გვექნება.

სუბარი ხელებს შლის, ყველა კანონის ჩარჩოში ვჯდებით, ეს ევროპაში მიღებული პრაქტიკააო, მაგრამ ის კი აღარ გახსენებია, ევროპაში პატიმრების სამყოფელი, საქართველოში თავისუფლებაზე მყოფი ადამიანებისას თი მდგომარეობაა, ვისაც ძვირადღირებული მანქანები ჰყავთ, კი შერჩათ ისე, როგორც „ნაციონალებს“ შერჩათ დანაშაული (ჯერჯერობით მაინც), ვისაც არა და ქამრების შემოჭერა მოუწევს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (ამას ხშირად დავწერ ხოლმე, რომ დაიმახსოვროთ) სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, მე ახალი ავტომობილი არ მიყიდია, რაც დამხვდა, იმით დავდივარ და თუ საჭირო იქნება, „სამაკატკითაც“ ვივლიო. გაგიჟებულა ნოდარ ხადური, რა „სამაკატკით“, ლარის კურსი გამირბის და „სამაკატკის“ საჭეს როგორ დავიმორჩილებო, თუმცა კულუარულად შევიტყვეთ, რომ კახა კალაძ-



ლიმეს რომ გადავდო, ხომ გადამიყოლებს მაგათზე ნერვიულობა, ჯერ პინგვინი და ზვიგენი ვერ მომინელებიაო.

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, ოლიმპიადის შემდეგ რუსეთისგან ინტენსიურ ზეწოლებს ველითო. შეგახსენებთ, რომ სწორედ ოლიმპია-

## თუ მიშა მაჭავარიანის ძმა პრეზიდენტის მრჩეველია, რატომ არ შეიძლება ჩორგოლეიშვილი პრემიერის იყოს?



იონობით ადამიანი ჰოლოკოსტსა და ოსვენციმში გაზის კამერებში გაგუდა. წესით, გაზის ხსენებაც კი გუშინ აკრძალული უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამოვიდა სუბარი და განაცხადა, ახალი კანონპროექტის მიხედვით პატიმრების დაშოშმინება წიწაკის გაზითაც შეგვეძლება, ელექტროშოკითაც და კიდევ რამდენიმე საშუალებითო. სასჯელაღსრულების სისტემის აღჭურვილობაში ცხენიც გამოჩნდება. თავიდან იფიქრეს ვირები მოვიყვანოთო, მაგრამ რომ სჯობია და არც ის უთქვამს, წიწაკის გაზის ხშირი გამოყენება სიბრმავეს რომ იწვევს. როგორც ჩანს, „ნაციონალების“ მიერ დატოვებული ნაცარი გამოილია და ახლა დაბრმავებას წიწაკის გაზით გვიპირებენ. ისევ საქმეშია ხელკეტი, ანუ დასაშოშმინებლად ამასაც გამოიყენებენ და რატომ ავიწყდება მოქმედ ხელისუფლებას, წინა ხელისუფლება ხელკეტის სიმბოლოდ რომ იყო ქცეული და ხელკეტსვე გადაჰყვა...

როგორც იქნა, მთავრობამ კეთილი ინება და სახელმწიფო ავტომობილების ყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. ხელისუფლებამ სულ დოლარებში (ლარს, როგორც ჩანს, აღარც თავად ენდობიან) გაწერა, რომელი თანამდებობის პირს, რამდენად შეფასებული ავტომობილის ყიდვის უფლება ექნება და ბათუმში ერთმა კაცმა ისე ამოიოხრა, თბილისში გავიგეთ. ახლა ასეს იტალიაში ერთი „ნავაროჩენი სამაკატკა“ უკვე შეუკვეთია. თან გადაადგილების ეს საშუალება ეკოლოგიურად სუფთაც არის და ხარჯიც ნაკლები სჭირდება. შესაბამისად, თუ მალე მთავრობის კანცელარიის შესასვლელთან „სამაკატკები“ დაგხვდათ, ნუ გაგიკვირდებათ, ისედაც, მთელი ჩვენი ქვეყანა „სამაკატკა“ არ არის, აგერ უკვე მერამდენე წელია?!

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საქართველო ასოცირების ხელშეკრულებას ხელს აგვისტომდე მოაწერსო. მართალია, ბილდტს არ უთქვამს, რომელი წლის აგვისტომდე, მაგრამ არა უშავს, დიმიტროვი და ლეფორი თუ დაგვცინიან პერიოდულად, ერთხელ ბილდტმაც იხუმროს, არ შეიძლება?

შალვა ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილს 41 შეკითხვა გაუგზავნა და ყოფილი პრემიერი დებატებში გამოიწვია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილი დებატებზე უარს იტყვის, 41 კითხვას რაც შეეხება, არა გვგონია, მათზე პასუხები გასცეს. რატომ? ჯერ ერთი, 41 ძალიან ბევრია ერთი კაცისთვის და მეორეც, ვერ ვიხსენებთ, „ლეიბორისტთა“ ლიდერს „ნაციონალებისთვის“ 5 კითხვა გაეგზავნოს ასე ოფიციალურად და ვითომ, არ იყო მაშინ კითხვები?!

ივანიშვილი ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გადადო. მიზეზი ისეთია, ნახევარ თბილისს რომ აწუხებს. თურმე ბატონ ბიძინას გრიპის ვირუსი შეჰყრია და სწორედ ამიტომ, ჭორვილადან სასწრაფოდ თბილისში დაბრუნებულა, ყოველ დღე ცხოველებს ვეფერები და რომედის გამო რუსულმა მხარემ აფხაზეთში საზღვარი 11 კილომეტრით გადმოგვიწია და თუ უფრო ინტენსიურს ველით, მოსულან თბილისამდე და ეგ არის.

დასასრულ – თამარ ჩერგოლეიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს მორიგი რჩევა მისცა და განაცხადა, ყველაფერს წინა ხელისუფლებას ნუ აბრალებ, თორემ არასერიოზულად გამოიყურებიო. ეს არ არის პირველი რჩევა, რომელსაც ჩერგოლეიშვილი ღარიბაშვილს აძლევს და ბოროტი ხმები ამბობენ, თამარ-ქალს პრემიერის მრჩევლობა ოფიციალურად უნდაო. ნუ გაგიკვირდებათ, მიშა მაჭავარიანის ძმა თუ არის პრეზიდენტის მრჩეველი და პრესკონფერენციებს მართავს, ბოკერიას ცოლმა რა დააშავა?!

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### პრეზიდენტი სადღესასწაულო ლიტურგიას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგიას დაესწრო. წირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა.

საქართველოს პრეზიდენტმა წირვის დასრულების შემდეგ სიონში შეკრებილ მრევლს ნინოობის დღესასწაული მიულოცა.

„გილოცავთ ნინოობის დღესასწაულს. დღევანდელი დღე დიდი მადლია. კიდევ უფრო გვახარებს და აღგვაფრთოვანებს ის, რომ ჩვენი სულიერი მწყემსი, მისი უწმინდესობა ყოველდღე გვპატრონობს და სწორ გზაზე გვაყენებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ნინოობის დღესასწაულს“, – განაცხადა მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

### გივი თარგამაძესთან დაკავშირებულ ფირმებს 85 მლნ-მდე შემოსავალი აქვთ



არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე: პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნესინტერესების, მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.

„ბოლო წლების პრაქტიკამ ცხადყო, საჯარო სამსახურში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი პოლიტიკოსები მიმართავენ სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივ განხორციელებას, რაც გამოიხატება მათი ბიზნესინტერესების ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებზე გადაფორმებითა და მონაწილეობით“, – აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

მოცემულ ეტაპზე ორგანიზაციამ მუშაობა დაასრულა თბილისის უფლებაშეჩერებული მერის, გიგი უგულავასა და პარლამენტის წევრ გივი თარგამაძის ქონებრივი დეკლარაციის შესწავლაზე. გამოიკვეთა მათი ფარული ბიზნესინტერესები და ოჯახის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურად მომგებიან გარიგებებში.

„განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ცნობილი ხდება, რომ გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ფირმებს, 13 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ მიღებული, ხოლო გივი თარგამაძესთან დაკავშირებულ ფირმებს – 85 მლნ ლარამდე შემოსავალი. გიგი უგულავას შემთხვევაში, საუბარია ძმის, ბიძის, სიდედრის, ქვისლის, მამიდისა და სხვა ახლობლების ბიზნესში საქმიანობაზე და მათ შემდეგ კომპანიებზე: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ“, „ლთ ჯგუფი“. მაგალითად, ყოფილი მერის ძმის, ირაკლი უგულავას კომპანია: „ჯეოლენდი“ გამარჯვებულია 38 სახელმწიფო ტენდერში, ერთ პირთან მოლაპარაკებით, სახელმწიფოს მასთან დადებული აქვს 114 ხელშეკრულება, გიგი უგულავას ბიძის, თამაზ გოგიაშვილის კომპანია „თ.ფ“ გამარჯვებულია 13 სახელმწიფო ტენდერში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, მასთან სახელმწიფოს დადებული აქვს 28 ხელშეკრულება. კომპანია საქმიანობს ფოიერვერკების ბიზნესში.

პარლამენტის წევრ გივი თარგამაძის ოჯახი და ოჯახთან დაახლოებული პირები აქტიურად საქმიანობენ მომგებიან კომპანიებში და იღებენ მაღალ მოგებას. მაგალითად, შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპი“, რომლის თანადამფუძნებელი და წილის მფლობელია პარლამენტის წევრის ძმა ზაზა თარგამაძე, 2005-2012 წლებში, მისი ერთობლივი შემოსავალი წარმოადგენდა 60 მლნ ლარზე მეტს. აღნიშნულ კომპანიის „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში, მიღებული აქვს 12 840 051 ლარი. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში, მიღებული აქვს 2 324 780 ლარი. კომპანიას, 2010-2013 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 მლნ ლარზე მეტის სამუშაოები. კომპანიას, კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2012 წელს, შესრულებული აქვს კახეთში სტიქიის დროს დაზიანებული სახლების სახურავების სარემონტო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 300 556 ლარი. (ინტერპრესნიუსი)

## დედის რძე ინფექციებისგან მხოლოდ გოგონებს იცავს?



საერთოდ, ჩვილების დედის რძით კვებას სპეციალისტები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათი რეკომენდაციებიც შესაბამისია, თუმცა ამერიკელი მეცნიერების მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბუნებრივი კვება ინფექციებისგან გოგონებს გაცილებით უკეთ იცავს, ვიდრე ვაჟებს.

როგორც ირკვევა, სპეციალისტები 1 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას სწავლობდნენ და აი, ასეთი დასკვნაც გამოიტანეს:

გოგონები, რომლებიც დედის რძით იკვებებოდნენ, გაცილებით იშვიათად ხვდებოდნენ კლინიკებში მწვავე რესპირატორული ინფექციების დიაგნოზით, ვიდრე ვაჟები, რომლებიც ასევე ბუნებრივ კვებაზე იმყოფებოდნენ.

ზუსტად რატომ ხდება ასეთი რამ, ამერიკელი მკვლევარები ზუსტ განმარტებას ვერ იძლევიან, თუმცა დედებს მაინც ურჩევენ, რომ შვილების კვება, თუნდაც მათი დაბადების პირველ თვეებში, ბუნებრივი გზებით სჯობია.

*pronowosti.ru*

## საჭესთან შეღებვის მოყვარული ქალი მძღოლების გამო, ბრიტანეთში ნახევარი მილიონი ავარია ხდება



კი უნდა იყვნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მუდმივად ფორმაში და თავიანთი გარეგნობით მამაკაცებს თვალებს უბრმავებდნენ, მაგრამ მაინცდამაინც საჭესთან შეღებვა და გალამაზება რომ საუკეთესო გადაწყვეტილება არ არის, ამაზე ბრიტანელი მზღვეველების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნაც მეტყველებს.

როგორც ირკვევა, მხოლოდ პრანჭია ქალების მიზეზით, ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით 500 ათასი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება.

ამასთანავე, ყოველი მეხუთე გამოკითხული ქალი მძღოლი გამოტყდა, რომ საჭის მართვისას კოსმეტიკური საშუალებები მინიმუმ ერთხელ მაინც გამოუყენებია.

გამოდის, რომ 15 მილიონი ქალი მძღოლიდან, რომლებიც ბრიტანეთში არიან დარეგისტრირებულები, საჭესთან ყოველწლიურად როგორც მინიმუმ, 2,7 მილიონი მაინც ილებება და 500 ათასამდე ავარია უკვე გასაკვირი ნამდვილა აღარ არის.

საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხული ქალების 3 პროცენტი მაკიაჟის უადგილო ადგილას გამოყენების გამო, ავარიაში მინიმუმ ორჯერ არის მოყოლილი.

რაც ყველაზე გასაკვირია, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არ იჯერებენ, რომ „უწყინარი შეღებვის“ გამო ამდენი ავარია ხდება.

– ხშირად, თავის მოწესრიგების დრო არ გვაქვს და იძულებულები ვართ, მაკიაჟი საჭესთან ჯდომისას გამოვიყენოთ, – თავს იმართლებენ ქალი მძღოლებით.

ვერაფერს იტყვი, მტკიცე არგუმენტია, თუმცა...

*mainfun.ru*

## მშობლების მიტოვებისთვის, შვილებს ციხეში ჩასვამენ!



„მშობლის ამაგს მაშინაც ვერ გადაიხდი, ხელის გულზე ერბო კვერცხი რომ შეუწვაო“, – გაგონილი გექნებათ ეს გამოთქმა და ალბათ, ეთანხმებით კიდეც, თუმცა, სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფრთიან გამოთქმებს კი არა, საკუთარ მშობლებს არ აქცევენ ყურადღებას და სწორედ ასეთების დასჯა გადაწყვიტეს ინდოეთის დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

როგორც ირკვევა, დელის ადმინისტრაციამ მიიღო ახალი კანონი, რომლის ძალითაც, ნებისმიერ ახალგაზრდა ადამიანს, რომელიც მოხუცებული მშობლისთვის ყურადღების მიქცევაზე უარს იტყვის, ციხეში ყურყუტი მოუწევს.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ახალგაზრდებს ინდუსები საჯაროდ, ქალაქის ცენტრში აღმართულ სპეციალურ ადგილას დასჯიან და საქვეყნოდ შეარცხვენენ.

ამ დროისთვის, დელიში უკვე ცხრა ასეთი ტრიბუნალია გამოყოფილი.

– შვილები, რომლებიც მშობლებს უყურადღებოდ მიაგნებენ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, დასჯილების მაგალითით კი მსგავსი სურვილი აღარავის უნდა გაუჩნდეს, – ამბობენ კანონის ავტორები.

რამდენწლიანი პატიმრობა ელის მშობლის მიტოვებისთვის უძღებ შვილს, არ ზუსტდება.

*vesti.ru*

## 40 წლამდე მოსკოველმა ქალმა 9 ცალი ვიბრატორი გაიტაცა



– ბარემ ათი ცალი წავიღოთო, – ასეთი წინადადება შეუთავაზებია ჯერჯერობით დაუდგენელი მოსკოველი ქალისთვის „მეორე მეს“, თუმცა „პირველს“ მაშინვე უპასუხია: ათი ცალი რა, ღორი კი არ ვარო...

მაღაზიის კონსულტანტების ინფორმაციით, ქურდი, რომელმაც მათ ვიბრატორები მოჰპარა, 40 წლამდე ქერათმიანი ქალი იყო, თუმცა ერთი შეხედვით, ის არავითარ ეჭვებს არ იწვევდა და შესაბამისად, რას აკეთებდა დახლებთან, ყურადღება არავის მიუქცევია.

– ძალიან ბევრი კითხვა კი დაგვისვა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასეთ რამეს მოიმოქმედებდა, – წუწუნებენ სექსშოპის კონსულტანტები.

ვინ იცის, რაში იყენებს ახლა ცხრა ვიბრატორის პატრონი კონსულტანტებისგან მიღებულ რჩევებს...

*mainfun.ru*

## როგორ მოქმედებს დაავადებული კბილი გულზე?



ის, ვინც პირის ღრუს მოვლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მით უმეტეს, თუკი პირად ჰიგიენას საერთოდ ივიწყებს, სამწუხაროდ, ძალიან სერიოზულ პრობლემებს საკუთარ თავს სხვისი დახმარების გარეშე უქმნის.

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, ადამიანები, რომლებიც კბილების მოვლას პირველხარისხოვან მოვლენად არ აღიქვამენ, გულის მუშაობას აფერხებენ, რაც თავისთავად ცხადია, სიკეთის მომტანი არავისთვის არ გახლავთ.

რაც ყველაზე მთავარია, რისკის ჯგუფში შედის არა მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც ღრძილების ქრონიკული ანთებით იტანჯება, არამედ საფრთხე ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ჰიგიენის ელემენტარული ნორმების უგულებელყოფის გამო, კბილებზე ნადები უჩნდებათ.

ინდიანას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანის კბილების მდგომარეობა შეისწავლეს, მათ შორის, იმათიც, ვისაც, მართალია, ღრძილების ანთება არ ჰქონდათ, მაგრამ პირად ჰიგიენას ისეთსავე ყურადღებას აქცევდნენ, როგორც შარშანწინდელი თოვლის ფერს.

– კბილებზე ნადების გაჩენა ხელს უწყობს სისხლში ლეიკოციტების მატებას, რაც, თავის მხრივ, გულზე ახდენს უარყოფით გავლენას. შესაბამისად, პირადი ჰიგიების ელემენტარული ნორმების დაცვაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

*myjane.ru*

## ცოლ-ქმარი 8 წელი ვერ ხვდებოდა, როგორ ჩნდებოდა ბავშვი...



აბა, ამ შემთხვევას რა კომენტარები და დამატებითი გაშარჟება სჭირდება, ისედაც საკმაოზე მეტად კომიკურია და ჩვენც მხოლოდ მის მთავარ არსზე მოგიყვებით.

თურმე, გერმანელების წყვილმა, რომელიც ერთად მთელი 8 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, უშვილობისგან განსაკურნებლად დახმარებისთვის ადგილობრივ კლინიკას მიმართა.

შემოწმების სრული კურსის გავლის შემდეგ, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ცოლ-ქმარს არავითარი პრობლემა არ აწუხებდა, შვილი კი იმ მარტივი მიზეზის გამო არ ჩნდებოდა, რომ მათ წლების მანძილზე სექსი საერთოდ არ ჰქონიათ.

ექიმებს წყვილისთვის დაახლოებით ასეთი კითხვა დაუსვამთ:

– დაახლოებით, რამდენჯერ გაქვთ ხოლმე იშტი-მიშტი, ანუ სექსი?

– ისა და, უკაცრავად, მაგრამ რას გულისხმობთ? – გაკვირვებულებს აქეთ შეუბრუნებიათ კითხვა.

ძალიან რთული დასაჯერებელია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცოლიცა და ქმარიც მორწმუნე მშობლებს აღუზრდიათ, რის გამოც, ისინი გაგებაში არ იყვნენ, რას ნიშნავდა სექსი და მით უმეტეს, საიდან ჩნდებოდნენ ბავშვები(?!).

სხვათა შორის, ცოლი 30 წლის გახლდათ, ქმარი კი – 36-ის, თუმცა როცა სპეციალისტებმა აუხსნეს, რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ, მათ სახლის ტელეფონიც გაუთიშავთ და მობილურებიც ზედ მიუყოლებიათ...

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# ყველაზე სულელური და კურიოზული სასამართლო გარჩევები



– ეს იყო პეტერბურგში... არა, პეტერბურგში კი არა, ბრაზილიაში. 2005 წელი იდგა და 31 წლის არცთუ ისე მომხიბვლელმა ბრაზილიელმა ქალმა საკუთარი საყვარლის კასტრირება მოითხოვა, რადგან თურმე, მისი პარტნიორი, როგორც კი თავისას მიაღწევდა, სექსუალურ აქტს ასრულებდა, კედლისკენ ბრუნდებოდა და ხვრინვას იწყებდა. საბედნიეროდ, სასამართლომ საქმის განხილვაზე უარი განაცხადა.

– 2006 წელს ბრიტანელმა ასტროლოგმა მარინა ბაიმ „ნასას“ ბრალი დასდო, რომ ამერიკის კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებმა „სამყაროს ბუნებრივი ბალანსი დაარღვიეს“, რის გამოც, ზიანი პირადად მას მიადგა და კომპენსაციის სახით, 165 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოითხოვა.

ზუსტად რაში გამოიხატებოდა „სამყაროს ბუნებრივი ბალანსის რღვევა“, ასტროლოგმა ვერ დაამტკიცა და შესაბამისად, სასამართლო მოსმენები რამდენიმე დღეში შეწყდა.

– 2006 წელს ახალგაზრდა ჩინელმა მამაკაცმა ადგილობრივ ინტერნეტ-აუქციონზე საკუთარი სულის გაყიდვის განცხადება გამოაქვეყნა, რის გამოც საიტის ადმინისტრაციამ სასამართლოში საჩივარი შეიტანა – ლოტის პატრონი სხვის საკუთრებას ყიდის, „ზემდგომი ინსტანციების“ წერილობითი თანხმობის გარეშე, მას სულის გაყიდვის უფლება არ აქვსო. ცხადია, სასამართლომ არც ეს სარჩელი დააკმაყოფილა.

– 2008 წელს ნიუ-იორკელმა სახელმწიფო მოხელემ ქალაქის ერთ-ერთი კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი იმის გამო გააშანშალა, რომ მათ ტუალეტში ყოფნისას, უნიტაზი, რომელზეც მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, გასკდა და ნამსხვრევები უადგილო ადგილას შეერჭო.

ზარალის ასანაზღაურებლად, სახელმწიფო მოხელე 5 მილიონ აშშ დოლარს ითხოვდა, თუმცა სასამართლომ ჯარიმა აქეთ გადაახდევინა – ჩინოვნიკი ძალიან მსუქანი ყოფილა და უნიტაზი მისი წონის გამო დაიმსხვრა.

– 2009 წლის დასაწყისში ერთმა შრი-ლანკელმა მოსამართლემ სასამართლოს დარბაზში გაზმორვისთვის 38 წლის მამაკაცს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– 2008 წელს რუმინელმა პატიმარმა, რომელიც მკვლელობისთვის 20-წლიან სასჯელს იხდიდა, სასამართლოში საჩივარი ღმერთის წინააღმდეგ აღძრა. ის ამტკიცებდა, რომ უფალმა მისთვის მიცემული ზეპირი შეთანხმება დაარღვია, რომლის თანახმადაც, მას ყოველგვარი პრობლემებისგან თავის ასარიდებლად ბევრი უნდა ელოცა.

– 1874 წელს კანადის ქალაქ ვინიპეგის მოსამართლემ, ევანს კორნიშმა საკუთარი თავი იმის გამო დასაჯა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ნასვამი გამოცხადდა და იქ დებოში მოაწყო. თურმე, ვინიპეგმა თავი დამნაშავედ სცნო და – 5 დოლარის ოდენობის ჯარიმაც კი დაიწესა. მოგვიანებით სასჯელი მან ისევ თავადვე შეიმსუბუქა და დაასკვნა: „ფრენსის ევანს კორნიშ! იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში კარგად იქცეოდი და კეთილშობილურ საქმეებს ედექი სათავეში, ჯარიმა უქმდება“.

*mainfun.ru*




კომპიუტერი ვირუსებისგან რომ დაეცვა, სვანმა ეკრანზე ნიორი ჩამოკიდა...

*****



– რა გჭირს, კოტე, თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– შვილმა დამარტყა...

– რატომ, კაცო?!

– დედა შევაგინე და...

– აბა, გადარჩენილხარ – კიდევ კარგი, ფაქტზე არ წაგასწრო!

***მომზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***




სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ეჭვიანი ქმარი ცოლს სახლიდან 50 წელი არ უშვებდა!



არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა 70 წლის იტალიელის შინაპატიმრობა, რომ არა გულის მწვავე შეტევა და სასწრაფო დახმარების გამოძახების აუცილებლობა.

ეს უჩვეულო ამბავი იტალიის ქალაქ ტრენტოში მომხდარა, რომელმაც იქაურების ნამდვილი შოკი გამოიწვია – აბა, ხუმრობა საქმე ხომ არაა, მხოლოდ იმის გამო, რომ ქმარს ეჭვიანობის „ოფოფები“ აწუხებდა, ცოლი სახლიდან მთელი 50 წლის განმავლობაში ვერ გადიოდა?!

როგორც ტყვეობიდან განთავისუფლებული იტალიელი ყვება, იგი 1958 წელს გათხოვდა, მეუღლის მანიაკალური ეჭვიანობის შესახებ კი ქორწინებიდან მხოლოდ რამდენიმე თვეში შეიტყო, რომელმაც უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა – ახლად მოყვანილ ცოლს სახლის ზღურბლზე ფეხის გადაბიჯებაც კი აეკრძალა.

საინტერესოა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, უჩვეულო წყვილს შვილებიც გაუჩნდა, თუმცა პატიმარს მათთან ურთიერთობის საშუალება მხოლოდ პირველ თვეებში ჰქონდა.

– როცა ჩემი ქმარი სახლიდან გადიოდა, კარსაც კეტავდა და ფანჯრებსაც, რომ გარეთ არ გავსულიყავი, ახლა კი, როგორც იქნა, მეღირსა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა, – ამბობს ტყვეობიდან განთავისუფლებული.

მომხდართან დაკავშირებით, იტალიელმა პოლიციელებმა გამოძიება უკვე დაიწყეს და სავარაუდოდ, ეჭვიან ქმარს, თავისი უაზრო ხასიათის გამო, პასუხისგება სიბერეში მაინც მოუწევს.

*mainfun.ru*

## ხორცის გარეშე ცხოვრება შეუძლებელიაო



უკვე დროა, მეცნიერები ერთ აზრზე ჩამოყალიბდნენ და ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად განმარტონ – მავნეა თუ არა ხორცი ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც უკვე 50-წლიან ზღვარს წარმატებით და ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულებების გარეშე გადააბიჯა.

მოგეხსენებათ, სპეციალისტების ერთი ნაწილი ამტკიცებს, ხორცი მავნეა და ახლოსაც არ გაეკაროთო, დანარჩენები კი ამბობენ, რას ბრძანებთ, მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი იქნებაო.

ასე მაგალითად, იაპონელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ საშუალო ასაკის ადამიანმა ხორცი კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა მიიღოს, რათა უფრო აქტიური გახდეს.

იაპონელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხორცზე უარს არ ამბობდნენ, ვეგეტარიანელებისგან განსხვავებით, გაცილებით აქტიურები არიან და საკუთარ თავსაც უფრო მეტი წარმატებით უვლიან.

საინტერესოა, რომ მეცნიერებმა ასეთი შედეგი ვერ მიიღეს იმ ადამიანების გამოკვლევისას, რომლებიც ხორცს თევზეულს არჩევენ.

– ხორცი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც ადამიანის გააქტიურება შეუძლია და სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ სოლიდურ ასაკში მათ საკმარისი ენერგია რჩებათ იმისთვის, რომ საკუთარ თავს სხვისი დახმარების გარეშეც შესანიშნავად მოუარონ, – მიიჩნევენ იაპონელები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*factroom.ru*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთები ალია და ქრონიკა

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**28 იანვარი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და შესაძლოა, არშიყობის ობიექტად იქცეთ. არც ისაა გამორიცხული, ამ დღემ თქვენი ცხოვრება შეცვალოს.

**კურო 22.04-21.05**
**28 იანვარი:** შეიძლება გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეთ. შეეცადეთ, სანამ სახლიდან გამოხვალთ, გარეგნობა სათანადოდ მოიწესრიგოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**28 იანვარი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით და შეიძლება გარშემო ყველაფრის გადაკეთება მოგინდეთ. კი გადააკეთებთ, მაგრამ საკითხავი ისაა, მოგეწონებათ თუ არა თქვენი ნამოქმედარი.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**28 იანვარი:** გაარკვიეთ, თანამოსაუბრეს სწორად ესმის თუ არა თქვენი. შეიძლება აზრის არასწორად გადმოცემის გამო სიტუაცია გართულდეს.

**ლომი 23.07-22.08**
**28 იანვარი:** დღეს მოთმინება და სიმშვიდე თუ გიხსნით. ისე მოიქეცით, თითქოს რაც ხდება, თქვენ არ გეხებათ და ეს დღე უმტკივნეულოდ ჩაივლის.

**ქალწული 23.08-22.09**
**28 იანვარი:** ბედს ნუ ცდით, ეს კარგად არ დასრულდება. ახალი ამბების არარსებობა ტყუილად არ ითვლება კარგ ამბად. დაფიქრდით, მართლა გინდათ ცვლილებები?

**სასწორი 23.09-22.10**
**28 იანვარი:** რაღაც ახალ ინფორმაციას მიიღებთ და მის მიხედვით მოგინდებათ მოქმედება. არ აჩქარდეთ, ის ან არასრულია, ან მცდარი.

**მორიელი 23.10-21.11**
**28 იანვარი:** ძალიან უსინდისო უნდა იყოს ადამიანი, რომ თქვეს, ჭორები არ მაინტერესებსო. როგორც ჩანს, დღეს საკმარისზე მეტს იჭორავებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**28 იანვარი:** დღეს საბოლოოდ მიიპყრობთ ყურადღებას, რომელსაც ასე ელტვოდით. მთავარია, დროზე გაჩერდეთ, რაში გჭირდებათ მოლაყბის იარლიყი?

**თხის რქა 22.12-19.01**
**28 იანვარი:** დღეს მოუთმენლობა შეგიპყრობთ, შეეცადეთ, გაუმკლავდეთ, თორემ ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**28 იანვარი:** დღეს სულიერად მტკიცე იქნებით, ამიტომ პრობლემებს უშფოთველად შეხვდებით. კარგი იქნება, თუ ეს სატრაბახო არ გაგიხდებათ.

**თევზები 19.02-20.03**
**28 იანვარი:** დღეს რაღაცის თქმა მოგინდებათ და ბოლო მომენტში შეიკავებთ თავს. არ არის საჭირო ამის თქმა, უსიამოვნებას ვერ ასცდებით.

## ჰომოსექსუალიზმი საზოგადოებას უზარმაზარ ზიანს აყენებს!



ამერიკელებსაც კი, რომლებიც, როგორც ცნობილია, სექსუალური უმცირესობების დიდი ქომაგები არიან, ჰომოსექსუალების მიმართ ადეკვატური აზრი ჩამოუყალიბდათ.

აშშ-ის ოჯახური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის პროფესორის პოლ ქემერონის განმარტებით, ჰომოსექსუალიზმი იმაზე გაცილებით საშიშია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით აღიქმება – ეს მოვლენა უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და დემოგრაფიულ კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს.

აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემას პოლ ქემერონი უკვე 40 წელია იკვლევს და სავსებით დარწმუნებულია, რომ ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა საჭირო კი არა, აუცილებელიცაა!

ქემერონი განმარტავს, რომ ჰომოსექსუალების მომრავლების გამო მნიშვნელოვნადაა შემცირებული შობადობა და ასევე, არასრულწლოვნებზე განხორციელებული ძალადობა და მათი შეცდენის შემთხვევები, რაც თავისთავად, მოზარდების ფსიქიკის სერიოზულ ცვლილებებს იწვევს.

არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების გამოკითხვის შედეგად, მოზარდებთან სექსუალური კავშირი დაახლოებით 40 პროცენტს აქვს დამყარებული!

ცხადია, ჰომოსექსუალიზმი ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასაც იწვევს, რადგან ნარკომანების შემდეგ შიდსით სწორედ ორიენტაციაარეული ადამიანები ავადდებიან. ამასთანავე, კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ თვითმკვლელობა უფრო პოპულარული ჰომოსექსუალებში ყოფილა.

– ჰომოსექსუალად ადამიანის ჩამოყალიბებას, სამწუხაროდ, მხოლოდ ადრეულ ასაკში მიღებული ტრავმები არ იწვევს. ეს მოვლენა ერთგვარი მოდურობის მანიშნებელიცაა, რასაც აუცილებლად უნდა შევებრძოლოთ, – ამბობს პოლ ქემერონი.

*gazeta.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ჯარისკაცი მეთაურთან მივიდა, უნდა, რამდენიმე დღით სახლში გაუშვას:

– ბატონო მაიორო, დათხოვნა მიდა – ცოლმა შვილი უნდა გააჩინოს...

მეთაური შევიდა ჯარისკაცის მდგომარეობაში და 2-კვირიანი შვებულებაც კი მისცა.

ნაწილში დაბრუნებული ჯარისკაცი მაიორმა დაიბარა:

– აბა, ბიჭია თუ გოგო?

– ჯერ არ ვიცი, 9 თვეში გავიგებთ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.00

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 21 21 80 ან 233 20 06 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.